# საჩემპიონო

სპორტული გაზეთი სამშაბათი 5 აპრილი 2005 №74 (2397) ფასი 50 თეთრი



## ფედერაციამ მაღრაძე არ დაინდო

ფიფამ გამოძიება დაიწყო

3



## იარცევამ ქუდი დაიხურა

რუსებმა სიომინისკენ გაიხედეს

5



## სატურინო და საპეკინო გზა რუსთაველზე დაიწყო

15

# ნატურალური ფეხბურთი

## პროდუქტი, რომელიც საქართველოში არ იწარმოება

ამ სანაკრებო ციებ-ცხელების მერე, რომელსაც ჩვენ, ქართველები სახეიროს ვერაფერს გამოვრჩით, ჩემპიონთა ლიგა ბრუნდება.

ლიგაში ჩვენ უთუოდ ვნახავთ იმას, რაც ვერ ვნახეთ საქართველოს ნაკრების ორ საშინაო მატჩში –– ნაღდ ბრძოლას ვნახავთ. სამაგიეროდ, ვერ ვნახავთ ქვების, ბოთლების და მისთანების სროლას, რაკი სალიგო მატჩების ორგანიზატორები ზრუნავენ იმაზე, რომ გაავებულმა გულშემატკივარმა მოედანზე არაფერი ისროლოს. და თუ ორგანიზატორებს მაინც რაღაც გამოეპარათ და სადღაც ვიღაცამ რაღაც მაინც ისროლა, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ დიდხანს იბჭობენ, აბა, რაში შევცდითო და ჩირგვში თავის შეყოფა აზრად არ მოუვათ. მოკლედ, ლიგა ბრუნდება. ნაღდ ფეხბურთს მოწყურებული ქართველი გულშემატკივარი სწორედ ასეთ ფეხბურთს იხილავს.




გახსოვდეს „ეიზელი" ინგლისელმა ფანებმა „ლივერპულს" 20 წლის წინანდელი ტრაგიკული მარცხი შეახსენეს

# ფედერაცია განაჩენს შეეგუა

## ამ კი არა, იმ ციკლშიც არ დაგვსაჯონო



# ფედერაციამ მაღრაძე არ დაინდო, ფიფამ გამოძიება დაიწყო



ლევან მაღრაძის (№22) საქმის გამოძიება ფიფამ უკვე დაიწყო

**ბერძნული** „ქსანთის" ქართველი ნახევარმცველის ლევან მაღრაძის საქართველოს ნაკრებში ჩამოუსვლელობის გამო ფიფამ გამოძიება დაიწყო.

ლევან მაღრაძე ალენ ჟირესმა ეროვნულ გუნდში ჯერ კიდევ თებერვალში, ლიტვასთან ამხანაგური მატჩისთვის გამოიძახა, მაგრამ, მაშინ მაღრაძემ, ტრავმა მაქვს და თბილისში ჩემ ჩამოსვლას აზრი არა აქვსო, შემოთვალა. არადა, საბერძნეთის ჩემპიონატის უახლოეს მატჩში „ქსანთის" შემადგენლობაში ითამაშა.

მერე მაღრაძე ოფიციალურ, საბერძნეთ-თურქეთთან მატჩებისთვისაც გამოიძახეს, ისევ უშედეგოდ — ექიმებმა თვითმფრინავით მგზავრობა ამიკრძალესო.

სწორედ ასეთი პასუხის მერე, იმავე დღეს, მაღრაძემ საბერძნეთის თასზე „ლარისასთან" ითამაშა, საგოლე პასი გააკეთა და პენალტი მოინადირა...

მოკლედ, ფეხბურთის სამყაროში მოტრიალე ხალხს საფუძვლიანი ეჭვი გაუჩნდა, ამ ბიჭს ნაკრებში თამაში არ სურსო. ალენ ჟირესმა კი თავისი პოზიცია ორიოდ სიტყვით გამოხატა — ეს საქმე ფეხბურთის ფედერაციის გასარჩევ-მოსაგვარებელია, რასაც ფედერაცია იტყვის, იმის შესაბამისად მოვიქცევიო.

ფედერაციამ კი თავის მხრივ სასწრაფოდ შეაგროვა ყველა საჭირო საბუთი და ლევან მაღრაძის დასჯის თხოვნით ფიფას მიმართა.

ფიფადან ფედერაციამ გუშინ ოფიციალური წერილი მიიღო, ლევან მაღრაძის საქმის თაობაზე გამოძიება უკვე დავიწყეთო.

ვნახოთ, რას გამოიძიებს ფიფა...

ისე კი, ეს პირველი ფაქტია, ფედერაციამ თავის ფეხბურთელს ნაკრებში ჩამოუსვლელობისთვის ფიფაში თუ უეფაში რომ უჩივლა. არადა, აქამდე რამდენჯერ ყოფილა, ფეხბურთელს ნაკრებზე უარი რომ უთქვამს; თუმც ნაღდი მიზეზები დღემდე უცნობად დარჩენილა.

**კობა ინასარიძე**

# ალაიამ პირი მოაღლო
## ყაზახეთი, უკრაინა და...

**გუშინ** საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ფიფაში საქართველო — თურქეთის მატჩისას მომხდარი უწესრიგობის შესახებ ახსნა-განმარტებითი წერილი გაგზავნა.

საბერძნეთთან მომხდარ ინციდენტებს თურქეთიც მოემატა და ფედერაციასაც ყველა იმედი, ეგებ დისკვალიფიკაციას გადავურჩეთო, გადაეწურა. ფიფა სასჯელს მალე გვეტყვის, თუმცა...

საქართველო — თურქეთის მატჩის მეორე ტაიმი ახალდაწყებული იყო, როცა სტუმარ ჰაკან ალტინტოპს ტრიბუნიდან ნასროლი საგანი თავში მოხვდა. ფეხბურთელი მოედანზე გაგორდა. ამ ამბავს არც გავიხსენებდით, რომ არა მატჩის ფინელი დელეგატის ალაიას პატაკი: ალაიამ ფიფას დისციპლინარებს აცნობა, ტრიბუნიდან ნასროლმა საგანმა ალტინტოპს თავი გაუტეხა, ფეხბურთელს მოედანზევე ერთი ნაკერი დაადეს, მერე კი ხუთიო. ფინელი, ალბათ, აზვიადებს, მაგრამ...

უახლოეს დღეებში ფიფა 26 და 30 მარტს „მიხეილ მესხზე" მომხდარ ამბებს სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე განიხილავს. ჩვენები ითხოვენ, რომ ვერ დიქტის გამოცხადებას ისინიც დაასწრონ, თუმც ამის მცირე იმედი აქვთ.

ფედერაციის გენმდივან ვალერი ჩიღლარიას თქმით, ფედერაცია სასჯელს უკვე შეგუებულია და ახლა მხოლოდ იმას ეცდება, რომ საქართველოს ნაკრებმა მომავალი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მატჩები მაინც საკუთარ, სავსე სტადიონზე გამართოს, ანუ ორმატჩიან დისკვალიფიკაციაზე მეტი არ მოგვცენ.

შეგახსენებთ, ამ შესარჩევში საქართველომ უკრაინას და ყაზახეთის უნდა უმასპინძლოს.

**კობა ინასარიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ლევან მელქაძე: რა გახდა ერთი შანსი?!
## დინამოს კონკურენტი დინამო იყო

**ერთი** მატჩში 5 გოლის გატანა რჩეულების ხვედრია. მართალია, გორის „დილა" ის სკალა არ არის, ფორვარდის დონის საზომად რომ გამოდგეს, მაგრამ ლევან მელქაძეს არც სხვებთან ღალატობს მიზანი და აგერ, სეზონში უკვე 21 გოლს მოუკრა პირი.

„ეს სეზონი ჩემთვის უდავოდ საუკეთესოა. თავდამსხმელი ვარ, ჩემი საქმე გოლების გატანაა და, მგონი, ეს კარგად გამომდის. ჩემპიონატის ბომბარდირობა ძალიან მინდა, ის კი არა, „დინამოს" ჩემპიონობასთან ერთად ეს ჩემი თვითმიზანია. მინიმუმ 30 გოლამდე უნდა ავიდე" — გვითხრა მელქაძემ.

გასულ ტურებში „დინამოს" რთული პერიოდი ჰქონდა, გუნდი წაგებებს დაეჩვია, რასაც გია გეგუჩაძის მოხსნა მოჰყვა. ბუნებრივია, ახალ თავკაცს სიახლეები მოაქვს.

„კახა ცხადაძეს გეგუჩაძისგან განსხვავებული ვარჯიშები და ტაქტიკა აქვს. ჯერ მხოლოდ ერთი მატჩი ჩავატარეთ მის ხელში და, გეგუჩაძე თუ უმეტესად სამი თავდამსხმელით გვათამაშებდა, „დილასთან" ორნი ვიყავით. ჩემმა მეწყვილე ვლადიმერ დვალიშვილმა კარგად ითამაშა, საგოლე კომბინაციებში ჩიილო მონაწილეობა, ერთხელ კი თავადაც გაიტანა."

მელქაძის აზრით, „დინამო" შარშანდელის მერე არ დასუსტებულა. მართალია, რამდენიმე ფეხბურთელი წავიდა, მაგრამ შევსებაც ნორმალურია და უფლება არ გვაქვს, ჩემპიონობა სხვას დავუთმოთო. „მდევრებს მხოლოდ ორი ქულით ვუსწრებთ, მაგრამ რეალურად „დინამო" მათზე გაცილებით ძლიერია. ისევ ჩვენი შეცდომების გამო, თორემ კონკურენტი არ გვეყოლებოდა. იმედია, მომდევნო ტურებში ქულებს აღარ გავანიავებთ."

ჩემპიონატის მთავარმეგოლე რომ უცხოური კლუბებისკენ იხედებოდეს, რა გასაკვირია, თუმც ლევანი ამაზე ფიქრით თავს არ იტკივებს — სანამ რეალური არაფერი გამოჩნდება, რა აზრი აქვსო.

ჩვენი კლუბების სხვა ფორვარდებიდან კი „ტორპედოს" გია მეგრელაძეს, „თბილისის" სანდრო იაშვილს, „ვიტ ჯორჯიას" ოთარ მარცვალაძეს და დინამოელ პარტნიორებს გამოარჩევს — საერთოდაც, ჩვენს ჩემპიონატში პერსპექტიული თავდამსხმელები ცოტანი არ არიანო — მიაჩნია ლევანს.

...მაგრამ მას გულში ხინჯად აქვს, რომ საქართველოს ნაკრებში თამაშის შანსი არ ეძლევა. მართლაც ბევრგან გაიგონებთ, რატომ ვერ ხვდება ნაკრებში ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი, როცა ლეგიონერი ფორვარდები არცთუ სასურველ ფორმაში არიანო. აი, მელქაძის კომენტარიც:

„მიჭირს ჩემს თავზე იმის თქმა, მაინცდამაინც ნაკრებში უნდა ვიყო-მეთქი, თუმც ასე მგონია, საქართველოს ჩემპიონატს მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ. ოფიციალურ მატჩზე არ ვამბობ, მაგრამ ნუთუ არ შეიძლებოდა, ერთ ამხანაგურ შეხვედრაში მაინც მოეცათ შანსი?!"

**ილია ნანობაშვილი**

### გერმანია
მეორე ბუნდესლიგა
XXVII ტური
ტრირი 1:0 დუისბურგი

### საფრანგეთი
მეორე დივიზიონი
XXXI ტური
ლე მანი 2:3 ტრუა

### პორტუგალია
სუპერლიგა. XXVII ტური
ბრაგა 1:0 ლეირია

### ჰოლანდია
მეორე დივიზიონი
გადადებული მატჩები
ემენი 2:0 იგლსი
ექსელსიორი 1:2 ჰელმონდი

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# საქართველოს XVI ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა
მეორე ეტაპი

26 ტური მიმოხილვა

# დინამო არ დაცხრა

## ცხრილში მცხრალი დაიცხრილა

მესამე წრის ბოლოსწინა ტური უინტერესო იყოო, ვერავინ იტყოდა. ერთადერთი, ეროვნულ სტადიონზე გოლების სათვალავი აჯერეოდა კაცს, თორემ დანარჩენ მატჩებში ბრძოლა არ განელებულა. ლევან მელქაძემ და „დინამომ" ბეჩავი „დილა" ხომ წალეკეს და უფრო საამო ამბავი ნამატჩევს შეიტყვეს — „ლოკომოტივის" ყმაწვილმა ფორვარდმა გიორგი კახელიშვილმა ის გოლი შეაგდო, რომელმაც „თბილისის" ნაცვლად დინამოელები გაალიდერა.

წინ კიდევ ათი ტურია, მაგრამ კონტურები უკვე გამოიკვეთა. არგავარდნისთვის „კოლხეთი" და „სიონი" დაჭამენ ერთმანეთს, ჩემპიონობისთვის კი ისევ ნაცნობი სამეული „შეუბერავს".

მომავალ უიქენდამდე...

| |
|---|
| ტორპედო 2:1 ვიტ ჯორჯია |
| დინამო 9:0 დილა |
| ზესტაფონი 0:0 სიონი |
| ლოკომოტივი 1:0 თბილისი |
| კოლხეთი 0:1 ბათუმი |





ჩემპიონატის ლიდერი „თბილისი" გიორგი კახელიშვილმა ჩამოაგდო

## ლოკოს წაუგებელი მოტივი

**საინტერესო** და სიმპათიურ „თბილისს" კიდევ უფრო საინტერესო და სიმპათიური მეტოქე შეხვდა და ლიდერობაც დაეკარგა — ნოდარ აკობიას გაწვრთნილი „ლოკომოტივი" ასეთ შედარებას უთუოდ იმსახურებს ოცდამეექვსე ტურში, თანაც „ლოკომოტივს" საინტერესო ახალგაზრდა ფეხბურთელიც გამოუჩნდა — „თბილისს" გოლი გიორგი კახელიშვილმა გაუტანა, ვინც წინა ტურებშიც დაგვამახსოვრა თავი.

მეორე ეტაპზე, აკობიას ხელში „ლოკომოტივს" ეროვნულ ჩემპიონატში თამაში არ წაუგია, ისევე, როგორც თემურ მახარაძის „ზესტაფონს", მაგრამ მწვრთნელსა და კლუბს მონაგარში მხოლოდ ეს არ ეთვლებათ — ქართული გუნდებისთვის მთავარი, ალბათ, მაინც კარგი ფეხბურთელის გამოზრდაა და იქნებ კახელიშვილი ასეთად გამოდგეს.

## მართალი სერგო

**აფერუმ,** სერგო გაბელაიას! ჩვენს ჩემპიონატში დასაქმებული ზოგიერთი მწვრთნელისგან აქამდე გულშემატკივრების იქით წაქეზება თუ გვინახავს — აქაოდა, ნახეთ, მსაჯებმა რა გვიქნეს და ახლა სეირი ვუჩვენოთო. „ბათუმთან" წაგებული „კოლხეთის" თავკაცმა კი გაავებულ ქომაგებს მწარე სიმართლე მიახალა, მსაჯებს რას ერჩით, კარში დარტყმა არ ვიცითო...

ასეა, გაბელაიას საქართველოში მართალ კაცად იცნობენ. ეს კი ამ ქვეყანაში, საბედნიეროდ, ჯერაც ფასობს.



## მაინც ჩემი დინამო ხარ



**მერაბ ხუციშვილს** კი არა, „დილა" ყოზე მაურინიუს რომ ეწვრთნა, იმ დღეს „დინამოსგან" ალყურს მაინც ვერ ასცდებოდა. ძალიან სამალავად, მშიერი კუჭით მოლასლასე გორელებს მინდორზე ვასვლისა რცხვენიათ, მაგრამ რა ქნან, საერთოდ მიანებონ თავი ჩემპიონატს? ყველაზე საკვირველი და საინტერესო კი მერაბ ხუციშვილის მატჩისშემდგომი კომენტარი იყო: „მე „დინამოს" გულშემატკივარი ვარ"

აი, ამბავი: „დინამოს" ფან-კლუბს ახალი წევრი შეემატა!

თუმცა...

კარგი, ბატონო, თამაშზე საოქმელი არაფერი გაქვთ, 4-4-2-ის ნაცვლად 3-5-2 უნდა გვეთამაშაო, ვერ იტყოდით, მაგრამ 0:9-ზე არ გაბრაზდით მაინც?!

| ბომბარდირები | |
|---|---|
| 21-მელქაძე | დინამო |
| 18-მეგრელაძე | ტორპედო |
| 11-ოდიკაძე | თბილისი/დინამო |
| მარცვალაძე | ვიტ ჯორჯია |
| 10- ზოზოხიძე | ლოკომოტივი |
| 9- დვალი | დინამო |
| 8-მერებაშვილი | ვიტ ჯორჯია |
| იაშვილი | თბილისი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 26 | 16 | 4 | 6 | 56:23 | 52 |
| თბილისი | 26 | 15 | 5 | 6 | 46:27 | 50 |
| ტორპედო | 26 | 14 | 8 | 4 | 41:21 | 50 |
| ლოკომოტივი | 26 | 11 | 11 | 4 | 33:19 | 44 |
| ვიტ ჯორჯია | 26 | 10 | 8 | 8 | 38:30 | 38 |
| ზესტაფონი | 26 | 11 | 4 | 11 | 25:36 | 37 |
| ბათუმი | 26 | 7 | 10 | 9 | 27:22 | 31 |
| კოლხეთი | 26 | 7 | 5 | 14 | 25:35 | 26 |
| სიონი | 26 | 6 | 4 | 16 | 21:49 | 22 |
| დილა | 26 | 2 | 3 | 21 | 16:64 | 9 |

### მომდევნო ტური

10 აპრილი, კვირა

სიონი – კოლხეთი

ვიტ ჯორჯია – ზესტაფონი

დილა – ლოკომოტივი

ბათუმი – დინამო

თბილისი – ტორპედო

### სიმბოლური ნაკრები

გიორგი კახელიშვილი — ლოკომოტივი
ლევან მელქაძე — დინამო
ლაშა ძებაძე — ლოკომოტივი
დავით ბოლქვაძე — ტორპედო
გოგი ფიფია — თბილისი
პავლე ჩოხელი — ბათუმი
გიორგი ონიანი — ლოკომოტივი
ზურაბ ძამსაშვილი — ზესტაფონი
დავით გამეზარდაშვილი — ტორპედო
დავით მიგაური — ლოკომოტივი
მინდია ბოგლიაშვილი — სიონი

გუნდი: ლოკომოტივი

მწვრთნელი: ნოდარ აკობია



სხვა ქართველებისგან განსხვავებით მალხაზ ასათიანისთვის რუსული პრემიერლიგა მართლა დაიწყო

# ისე რა ამბები

## მოაზროვნე ასათიანი სიმბოლურში

*არცთუ ხვავიანი გამოდგა ეს უქმეები ქართველი ლეგიონერებისთვის. ერთადერთი გოლი და ორად ორი საგოლე პასი — ესეც კვიპროსის ჩემპიონატში და რუსეთის პირველ დივიზიონში, სხვაგან კი...*

*ისევ და ისევ მალხაზ ასათიანი გამოირჩა.* მოსკოვის „ლოკომოტივის" ცენტრალური მცველი რუსმა ჟურნალისტებმა ტურის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანეს და ასეთი კომენტარიც დაურთეს: ასათიანს მხოლოდ აზროვნების წყალობითაც კი შეუძლია მეტოქის შეტევების ჩაშლა და მეტწილად ასეც ხდება. ქართველი ფეხბურთელი წინასწარ გრძნობს, რა მოხდება მერე...

რკინიგზელებმა რუსულ სუპერდუელში ცესკა არ გაახარეს — სასურველი 0:0 გაუგორეს და კმაყოფილებმა დატოვეს ხელოვნურსაფარიანი „ლუჟნიკი". ასათიანის გარდა განაცხადში ერთადერთი ქართველი, *მიხეილ აშვეთია* იყო, თუმც მისი თამაში თავიდანვე ნაკლებად მოსალოდნელი ჩანდა — აშვეთიას ხელოვნურ საფარზე თამაშს ექიმები არ ურჩევენ.

ვლადიკავკაზის „ალანიამ" კი, რა თქმა უნდა, ისევ წააგო, ისევ დიდი ანგარიშით და ისევ ვერ გაიტანა გოლი. მოსკოვის „ტორპედოსთან" ჩვენებურთაგან *დავით კვირკველიამ* სრულად ითამაშა, *ლევან გვაზავა* და *ლადო ბურდული* კი შეცვლაზე გამოჩნდნენ.

*ლევან კობიაშვილის „შალკემ" 4:1 მოუგო „ნიურნბერგს".* ჩვენებურმა 81-ე წუთამდე გაძლო, მერე კი კრისტიან პოულსენით შეცვალეს. კობიაშვილი ფიზიკური კონდიციებით ყოველთვის გამოირჩეოდა, თუმც ჩანს, სანაკრებო სერიამ თავისი ქნა. მოკლედ, „შალკე" კვლავაც არ ნებდება და ლიდერ „ბაიერნს" ოდენ ბურთების უარესი სხვაობით ჩამორჩება.

*რამდენიმეთვიანი პაუზის მერე „რეინჯერსში" შოთა არველაძემ და ზურაბ ხიზანიშვილმა ითამაშეს.* გლაზგოელებმა სტუმრად 3:2 დაამარცხეს „მოზერუელი", ვისაც ამას წინათ ლიგის თასის ფინალში 5:1 „მიართვეს". არველაძე 66-ე წუთზე შევიდა მოედანზე, ხიზანიშვილი კი ოდნავ მოგვიანებით — 71-ე წუთზე გამოჩნდა. „რეინჯერსი" პირველ ადგილზეა და ერთი ქულით უსწრებს „სელტიკს".

*უკრაინელ ქართველებს კი „უქმობა" ჰქონდათ —* მოედანზე მხოლოდ ორი ჩვენებური, ტავრიელი *ვასილ გიგიაძე* და „მეტალისტი" *ლაშა ჯაკობია* გავიდნენ. ორივეს გუნდმა 0:0 ითამაშა...

*ქართველების „ანართოსისმა" მნიშვნელოვანი ქულები დაკარგა „ოლიმპიაკოსთან" მატჩში* — 1:1 და ფამაგუსტელებს კონკურენტი აპოელ-ი წამოეწია. *გიორგი ქინქლაძემ* თავი საგოლე პასით გამოიჩინა, მის გარდა კი ძირითადში *თემურ ქეცბაიამ* და *კლიმენტი წიტაიშვილმა* ითამაშეს.

და ერთიც: *ლევან ქებაძის* „პარალიმნიმ" 3:0 გაანადგურა კვიპროსის ჩემპიონი „ომონია". ქებაძემ პირველი გოლი გაუტანა მეტოქეს და ექვსმატჩიანი უგოლო სერიაც შეწყვიტა.

**ქახა შალამბერიძე**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | | ტური გადაიდო | | | 18 | 1 | 1 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | შ | ნიურნბერგი 4:1 | 81 | შეცვალეს | 26 | 3 | 2 |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | შ | ჰამბურგი 1:1 | 90 | | 24 | 2 | 18 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | შ | ჰამბურგი 1:1 | 0 | ტრავმირებულია | 17 | 1 | 18 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | ფრაიბურგი | შ | ჰამბურგი 1:1 | 0 | ტრავმირებულია | 8 | 0 | 18 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ხვიჩა შუბითიძე | აუე | შ | კოტბუსი 2:0 | 0 | | 13 | 2 | 6 |
| **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი | ს | მოზერუელი 3:2 | 24 | შეცვლაზე ითამაშა | 18 | 4 | 1 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | რეინჯერსი | ს | მოზერუელი 3:2 | 19 | შეცვლაზე ითამაშა | 15 | 0 | 1 |
| **ჰოლანდია. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გოგა გახოკიძე | ტვენტე | ს | ვიტესი 1:1 | 0 | ტრავმირებულია | 2 | 0 | 7 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი | ს | ცსკა 0:0 | 90 | გააფრთხილეს | 3 | 0 | 6 |
| მიხეილ აშვეთია | ლოკომოტივი | ს | ცსკა 0:0 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 6 |
| რომან ახალკაცი | ლოკომოტივი | ს | ცსკა 0:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 6 |
| მათე ღვინიანიძე | ლოკომოტივი | ს | ცსკა 0:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 6 |
| გიორგი ჭელიძე | ლოკომოტივი | ს | ცსკა 0:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 6 |
| ვიტალი დარასელია | ალანია | ს | ტორპედო 0:3 | 0 | | 1 | 0 | 16 |
| ლევან გვაზავა | ალანია | ს | ტორპედო 0:3 | 8 | შეცვლაზე ითამაშა | 1 | 0 | 16 |
| ლადო ბურდული | ალანია | ს | ტორპედო 0:3 | 17 | შეცვლაზე ითამაშა | 2 | 0 | 16 |
| დავით კვირკველია | ალანია | ს | ტორპედო 0:3 | 90 | გააფრთხილეს | 2 | 0 | 16 |
| ჯაბა კანკავა | ალანია | ს | ტორპედო 0:3 | 0 | სათადარიგო | 2 | 0 | 16 |
| გიორგი შაშიაშვილი | ალანია | ს | ტორპედო 0:3 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 16 |
| ლაშა სალუქვაძე | რუბინი | ს | მოსკვა 1:0 | 0 | განაცხადში არ აყო | 0 | 0 | 10 |
| **რუსეთი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გიორგი ლომაია | ხიმკი | ს | ტრესტი 3:0 | 0 | | 0 | 0 | 4 |
| გოგიტა გოგუა | ხიმკი | ს | ტრესტი 3:0 | 0 | | 0 | 0 | 4 |
| რევაზ გოცირიძე | კამაზი | შ | ლოკომოტივი 4:1 | 24 | შეცვლაზე ითამაშა | 2 | 0 | 1 |
| კახა მჟავანაძე | ანჟი | შ | პეტროტრესტი 1:0 | 0 | | 0 | 0 | 8 |
| მამუკა ლომიძე | ჩკალოვეცი | შ | დინამო 1:1 | 0 | | 0 | 0 | 12 |
| ლევან ბერიშვილი | მ. კუზბასი | შ | სპარტაკი 0:3 | 0 | | 1 | 0 | 20 |
| პაატა ჯინჭარაძე | ბრიანსკი | ს | ყუბანი 1:3 | 90 | საგოლე პასი | 2 | 0 | 17 |
| დავით ხმელიძე | ჩელიაბინსკი | ს | ურალი 0:1 | 90 | | 1 | 0 | 21 |
| **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| ლადო ახალაია | ციურიხი | ს | სტ. გალენი 5:4 | 1 | შეცვლაზე ითამაშა | 4 | 0 | 4 |
| **შვეიცარია. ჩელენჯლიგა** | | | | | | | | |
| მიხეილ ყაველაშვილი | სიონი | შ | ბულე 2:2 | 0 | განაცხადში არ იყო | 0 | 0 | 6 |
| **ავსტრია. მაქსბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | შ | ადმირა 0:0 | 0 | ტრავმირებულია | 21 | 4 | 8 |
| **საბერძნეთი. ეროვნული ლიგა** | | | | | | | | |
| ლევან მაღრაძე | ქსანთი | ს | პაოკ 0:1 | 90 | | 22 | 0 | 5 |
| **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი დემეტრაძე | მ. დონეცკი | ს | ტავრია 0:0 | 0 | | 17 | 3 | 3 |
| ლაშა ჯაკობია | მეტალისტი | ს | ზაკარპატიე 0:0 | 90 | | 15 | 2 | 8 |
| ვასილ გიგიაძე | ტავრია | შ | მ. დონეცკი 0:0 | 90 | | 19 | 8 | 9 |
| ალეკო ამისულაშვილი | დნიპრო | შ | ვორსკლა 3:1 | 0 | | 0 | 0 | 6 |
| გრიგოლ ჭანტურია | ზაკარპატიე | შ | მეტალისტი 0:0 | 0 | | 0 | 0 | 15 |
| ირაკლი მოდებაძე | მ. ზაპოროჟიე | ს | დინამო 2:1 | 0 | ტრავმირებულია | 7 | 3 | 12 |
| არჩილ ბაჯელიძე | მ. ზაპოროჟიე | ს | დინამო 2:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 12 |
| **ბულგარეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ამირან მუჯირი | ცსკა | ს | სპარტაკი 0:0 | 29 | შეცვალეს | 19 | 4 | 1 |
| ვლადიმერ კაკაშვილი | ჩერნო მორე | შ | პირინი 1:1 | 0 | | 11 | 0 | 7 |
| კოტე დარსანია | ჩერნო მორე | შ | პირინი 1:1 | 0 | | 6 | 1 | 7 |
| **პოლონეთი. პირველი ლიგა** | | | | | | | | |
| მამია ჯიქია | პლოცკი | ს | გროცლინი 2:1 | 90 | | 14 | 1 | 5 |
| **კვიპროსი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ანართოსისი | ს | ოლიმპიაკოსი 1:1 | 90 | | 21 | 14 | 1 |
| გიორგი ქინქლაძე | ანართოსისი | ს | ოლიმპიაკოსი 1:1 | 90 | საგოლე პასი | 20 | 2 | 1 |
| კლიმენტი წიტაიშვილი | ანართოსისი | ს | ოლიმპიაკოსი 1:1 | 90 | | 23 | 7 | 1 |
| გიორგი გაბიდაური | ანართოსისი | ს | ოლიმპიაკოსი 1:1 | 0 | | 8 | 1 | 1 |
| გოჩა ხოჯავა | ანართოსისი | ს | ოლიმპიაკოსი 1:1 | 0 | | 1 | 0 | 1 |
| ლევან ქებაძე | პარალიმნი | შ | ომონია 3:0 | 90 | 1 გოლი | 23 | 7 | 6 |
| გიორგი ქორიძე | ოლიმპიაკოსი | შ | ანართოსისი 0:0 | 0 | | 14 | 4 | 4 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

# ბოიერი თუ დაიერი?
## ნიუკასლმა განაჩენი გამოიტანა



გრემ სუნესმა ორივე მოჩხუბარი, რა თქმა უნდა, გათათხა, მაგრამ ვერ შეარიგა

**თქვენ** რომ ამ გაზეთს წაიკითხავთ, „ნიუკასლის“ თავმჯდომარეს, ფრედი შეპარდს უკვე ნალაპარაკევი ექნება შაბათის ორ გიჟთან, ორ ძველ ლოთსა და შფოთთან, კირონ დაიერთან და ლი ბოიერთან.

„სენტ ჯეიმს პარკზე“, 50 ათასი მოსეირეს თვალწინ, წაგებული თამაშის მიწურულს, ეს ორნი ძველბიჭურად ეტაკნენ ერთმანეთს და სანამ მსაჯი ორივეს გააძევებდა, ძლივს გააშველეს „ასტონ ვილას“ და „ნიუკასლის“ ფეხბურთელებმა.

მენეჯერმა გრემ სუნესმა ორივეს სახალხო ბოდიში მოახდევინა თამაშის შემდეგ, თუმცა ამას არც ფეხბურთის ასოციაცია იკმარებს და არც „ნიუკასლი“, რომლის უფროსობაც, როგორც მოგახსენეთ, წუხელ უნდა შეხვედროდა ძველ ბიჭებს. თუმც, სავარაუდო სანქციები წინდაწინვე ცნობილი იყო.

ლი ბოიერს, 28 წლისას, ადრე ნასამართლევს ფერადკანიანი სტუდენტის ცემისთვის, 6 კვირის ხელფასი, 200 ათასი გირვანქა ჩამოეჭრება, რაც გაუგონარი ამბავია ინგლისურ ფეხბურთში.

ამის საპირისპიროდ, „ნიუკასლს“ მეორე სენსაციური სვლაც აქვს გამზადებული: რახან ჩხუბი ბოიერმა წამოიწყო, „ნიუკასლი“ ასოციაციას შესთხოვს, რომ კირონ დაიერს წითელი ბარათი გაუუქმოს, რათა ამ უკანასკნელმა თასის ნახევარფინალში, „მანჩესტერ იუნაიტედის“ წინააღმდეგ თამაში შეძლოს.

სიმართლე ითქვას და, დაიერი მართლაც თავს იცავდა — ერთი მუშტი გაიქნია. თუმცა, ამ 26 წლის ჯეელსაც ზურგსუკან ბევრი შუხური აქვს.

რაც შეეხება ბოიერს, ის ხასიათზე იმიტომაც ვერ ყოფილა, რომ წინა კვირაში თავის საცოლეს, კეტლინ ბეიკერს სამუდამოდ დასცილებია.

ასეა თუ ისე, „ნიუკასლი“ დაიერს იცავს და ბოიერს წირავს. ალან შირერს კი თურმე მწარედ ელიმება ყოველივეზე: „კიდევ ერთხელ, ჩვენი კლუბის კეთილი სახელი სიბინძურეში ამოთხვარეს. მე ყველაფერი გასახდელში ვთქვი. საქმე კარგად მიგვდის და თქვენ რას აკეთებთ?“

**ირაკლი გამყრელიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

*შვედი ფორვარდი ზლატან იბრაჰიმოვიჩი ამჟამად მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო თავდამსხმელად ითვლება და სამართლიანადაც. 23 წლის ფეხბურთელმა თავი ჯერ კიდევ „აიაქსში“ ყოფნისას დაგვამახსოვრა. ევრო 2004-ზე შთამბეჭდავი თამაშისა და ტურინის „იუვენტუსში“ გადასვლის შემდეგ კი მისი ნიჭი და შესაძლებლობები ერთიორად გამოჩნდა. იბრაჰიმოვიჩი, ყველას გასაკვირად მალე მოერგო „ბებერ ქალბატონს“ და ახლა უკვე „იუვენტუსი“ უმისოდ ეგებ წარმოუდგენლადაც მოგვეჩვენოს. თახაც ტურინელთა რიგებში იგი ხშირად ასისტენტის და მომენტის შემქმნელის როლში გვევლინება, რაც ერთიორად ზრდის თავდამსხმელის ფასს. თავად მას, 12 თებერვლის შემდეგ გოლი არ გაუტანია, მაგრამ ვერავინ უარყოფს, რომ „იუვეს“ ლიდერია...*

# პრეზიდენტი საქმეს შეუდგა
## იარცევი წავიდა, რუსეთი სიომინს ვარაუდობს



იური სიომინს
რუსეთის ნაკრებში იწვევენ

**გუშინ** რუსეთის ნაკრების მწვრთნელი, გეორგი იარცევი თანამდებობიდან გაათავისუფლეს. შეგახსენებთ, რომ გასულ შაბათს რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტად ვიტალი მუტკო აირჩიეს. მუტკომ კი არჩევისთანავე თქვა, გეორგი იარცევი უნდა წავიდესო და წავიდა კიდეც.

ამგვარად, ნაკრებს მომავალი ორი მატჩისთვის სხვა მწვრთნელი მოამზადებს — რუსებს 4 ივნისს შინ, ლატვიასთან ელით შესარჩევი შეხვედრა, ხოლო მეორე 8 ივნისს გერმანიასთან. გერმანელებს ისინი სტუმრად, მიონხენგლადბახში ამხანაგურად ეთამაშებიან.

გავრცელებული ინფორმაციით, გეორგი იარცევის სავარაუდო შემცვლელად მოსკოვის „ლოკომოტივის“ თავკაც იური სიომინს ასახელებენ. თუ სიომინს ნაკრები ჩააბარეს, იგი წლის ბოლომდე პარალელურად „ლოკომოტივშიც“ იმუშავებს, შემდეგ კი კლუბს ჩამოშორდება და ეროვნულ გუნდს ევრო 2008-ის შესარჩევი ციკლის ბოლომდე გაუძღვებაო. სიომინის გარდა, ასახელებენ ანატოლი ბიშოვეცისა და ვლასტიმილ პეტრჟელას გვარებსაც.

იური სიომინმა კომენტარისგან თავი შეიკავა, ხოლო ვიტალი მუტკომ განაცხადა: „მწვრთნელის შეცვლა გარკვეული პროცედურაა. ნებისმიერ ნორმალურ ადამიანს ესმის, რომ ნაკრებში ვითარება გასაუმჯობესებელია. ყველაფერი დაწვრილებით გავარკვიეთ და სათანადო გადაწყვეტილება მივიღეთ“.

**გაგა ხუციშვილი**

# ლუშემბურგომ და რაიკარდმა ერთმანეთს დასცხეს

**მომავალ** უქმეებზე საფეხბურთო მსოფლიო კიდევ ერთი „ელ კლასიკოთი“ დატკბება — 10 აპრილს „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ხომ „რეალი“ — „ბარსელონაა“.

ამ მატჩის გარშემო აჟიოტაჟი საკმაოდ დიდი ხანია დაიწყო და ახლა გადამწყვეტ ფაზაში შედის.

„რეალს“ გასულ წელს, საშინაო მარცხისა და მიმდინარე სეზონში „კამპ ნოუზე“ გამანადგურებელი ანგარიშით (0:3) წაგებისთვის შური აქვს საძიებელი. ეს ყლველივე „სამეფო კლუბის“ თავკაც ვანდერლეი ლუშემბურგოსაც კარგად ესმის და რა გასაკვირია, რომ მხოლოდ ამ მატჩის მოგებაზე ფიქრობს.

„ჩვენს შორის სხვაობა ახლა 9 ქულაა, დარჩენილი კი მხოლოდ 8 ტურია, მაგრამ შანსი კიდევ გვაქვს. ყველა მატჩი უნდა მოვიგოთ, ბუნებრივია, მათ შორის „ბარსელონასთანაც“. ამ შეხვედრამდე დაახლოებით ერთი კვირა გვაქვს და კარგად მომზადებაა საჭირო. ვიცით, რომ ფრის და მით უმეტეს, წაგების უფლება არ გვაქვს. მჯერა, მიზნის მიღწევას შევძლებთ“ — თქვა ბრაზილიელმა.

მადრიდელთა შანსებს ისიც ზრდის, რომ კატალონიელთა კაპიტანს კარლეს პუიოლს ტრავმა აქვს და სავარაუდოდ „ელ კლასიკოს“ გამოტოვებს, ხოლო დეკო დისკვალიფიცირებულია. თუმც შესაძლოა, დანაკლისი „რეალსაც“ ჰქონდეს — დევიდ ბექემი ამჟამად დაშავებულია და მისი თამაში სათუოა.

ბოლოს კი „ბარსას“ თავკაც ფრანკ რაიკარდის მოუსმინოთ: „ბეტისთან“ უცნაურად ვითამაშეთ ქულებიც ამიტომ დავკარგეთ. გარწმუნებთ, „რეალთან“ „სულ სხვა „ბარსელონას“ იხილავთ“.

**გიორგი ძაძამიძე**



ვანდერლეი ლუშემბურგო
ელ კლასიკოსთვის აქედანვე ემზადება

# უჩინარი ლიდერი
## იბრაჰიმოვიჩს გოლები არ სჭირდება

**— ჩემპიონთა ლიგით დავიწყოთ. „ლივერპულთან“ მატჩზე და მთლიანად გათამაშებაში თქვენს პერსპექტივებზე რას იტყვით?**

— ახალი რა უნდა ვთქვა. ინგლისელებს ძალიან კარგი გუნდი ჰყავთ, მაგრამ მჯერა, რომ მათი დამარცხება შეგვიძლია. ლიგაში გამარჯვებაზე კი ნებისმიერი ფეხბურთელი ოცნებობს, მათ შორის ცხადია, მეც. ამ ტურნირის მოგება ყველას უნდა, მაგრამ მხოლოდ საუკეთესოებს შეუძლიათ.

**— თქვენ „იუვენტუსს“ საკმაოდ ადვილად მოერგეთ...**

— სიმართლე გითხრათ, ადაპტაციის პერიოდს თუ ასე მალე გავივლიდი, ნამდვილად არ მეგონა. თუმც, „იუვენტუსში“ ისეთი ატმოსფეროა, რომ...

**— განსაკუთრებით ვისთან მეგობრობთ და ფაბიო კაპელოზე რას იტყვით?**

— გამორჩეული მეგობრები არ მყავს, რადგანაც ყველასთან კარგი ურთიერთობა მაქვს, ხოლო ფაბიო კაპელოზე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ შესანიშნავი სპეციალისტია, პირადად მე მასზე ძლიერი მწვრთნელი არ მინახავს. სამართლიანია, რომ მსოფლიოში კაპელოს უძლიერესად თვლიან.

**— თქვენი ბოლოდროინდელი წარმატებებიც ხომ სწორედ კაპელოს უკავშირდება, მას ყოველთვის მოსწონდით და ახლაც ბოლომდე გენდობათ...**

— ფაქტია, რაც კაპელოსთან ვმუშაობ, საგრძნობლად მოვემატე. „იუვეში“ ვაცილებით უკეთ ვთამაშობ, ვიდრე „აიაქსში“, აქ ჩემი სივრცე და საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის მეტი შანსი მაქვს. რაც მთავარია, მწვრთნელისა და მთლიანად კლუბისგან ძლიერ მხარდაჭერას ვგრძნობ.

**— „იუვენტუსი“ წარმატებულ სერიას აგრძელებს და თქვენც კარგად თამაშობთ, მაგრამ გოლები უწინდელივით ველარ გაგაქვთ...**

— ჩემი აზრით, ყველაფერი კარგად მიდის. მართალია, ბოლო დროს გოლების მხრივ არ მიმართლებს და ბევრ შანსს ვერ ვიყენებ, მაგრამ იუვენტუსი“ ხომ იგებს და ესაა მთავარი.

**— წლევანდელი ჩემპიონთა ლიგიდან ყველაზე გამორჩეულად რა გახსენდებათ?**

— მადრიდი და მატჩები „რეალთან“. ჩემი საყვარელი სტადიონი „სანტიაგო ბერნაბეუა“, ხოლო კერპი — რონალდო. ისტორიაში საუკეთესო გოლად კი ზიდანის მიერ 2002 წელს ლევერკუზენის „ბაიერთან“ ფინალურ მატჩში გატანილ ჩინებულ ბურთს მივიჩნევ.

# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. მეოთხედფინალი. პირველი მატჩი

## სტატისტიკის ისტორიიდან
## პირველად იყო პირველი

ლივერპული. „ენფილდ როუდი". მსაჯი: ფრანკ დე ბლეეკერი (ბელგია). 22.45 საათი

### ლივერპული — იუვენტუსი

საპარაუდო შემადგენლობები

| ლივერპული | იუვენტუსი |
| --- | --- |
| დუდეკი, ფინანი, კარაგერი, ჰიიპია, ტრაორე, შმიცერი, ჯერარდი, ბიშკანი, რიისე, ბაროში, ლუის გარსია | ბუფონი, ძებინა, ტურამი, კანავარო, ძამბროტა, კამორანეზი, ემერსონი, ბლაზი, ნედვედი, დელ პიერო, იბრაჰიმოვიჩი |
| მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი | მწვრთნელი: ფაბიო კაპელო |
| **დისკვალიფიცირებულნი** | |
| არავინ | ალესიო ტაკინარდი (1 მატჩი) |
| **ტრამვირებულნი** | |
| დიტმარ ჰამანი, ჰარი კიუელი, ფლორენ სინამა-პონიოლი, ჯიბრილ სისე, ხაბი ალონსო, ნილ მელორი | ჩირო ფერარა, ოლივიე კაპო |

**თითქოს** დათქმული აქვთო, „ლივერპული" და „იუვენტუსი" მხოლოდ ოც წელიწადში ერთხელ ხვდებიან ერთმანეთს.

პირველად, 1965 წლის შემოდგომაზე, ისინი თასების მფლობელთა თასის პირველსავე ეტაპზე შეხვდნენ და ორი მატჩის ჯამში მერვედფინალში ინგლისელები გავიდნენ.

ოცი წლის მერე, 1985-ში, ისინი უკვე ჩემპიონთა თასის ფინალში გადაეყარნენ ავადმოსაგონარ „ეიზელზე" და თასი იტალიელებს დარჩათ, „ლივერპული" კი კარგა ხნით მოიკვეთა ევროთასებიდან.

კიდევ ოცი წელი და, დღეს „ლივერპულის" და „იუვენტუსის" მორიგი შებმაა.

სხვაგვარი სტატისტიკაც არსებობს: თუნდაც ის, რომ „ლივერპულისთვის" „ენფილდზე" გოლის გატანა რაგინდარა მეტოქეს უჭირს. ბოლო 36 საშინაო ევროპულ მატჩიდან, ლივერპულელებმა 24-ში კარი მშრალად შეინახეს, ხოლო დანარჩენი რვა მატჩიდან მხოლოდ ორში გაუშვეს ერთ გოლზე მეტი.

ამავე დროს, „იუვენტუსს" სტუმრად გატანა უჭირს. ჩემპიონთა ლიგის ბოლო შვიდ საგარეო თამაშში ტურინელებმა მხოლოდ სამი გოლი გაიტანეს. ამ მონაცემთა შეჯერებით კი ინგლისელთათვის საამურ პერსპექტივას ვღებულობთ.

ინგლისელთა ქომაგებს იმის გაგებაც ეამებათ, რომ „იუვენტუსი" ინგლისურ კლუბებთან ბოლო ხუთი სტუმრობისას ოდენ ერთ ფრეს დასჯერდა, ოთხი მატჩი კი წააგო. და ერთიც — „იუვენტუსს", რაც ჩემპიონთა ლიგაში თამაშობს, 99 გოლი აქვს გაშვებული ანუ მასპინძელთა პირველი გოლი (თუ, რა თქმა უნდა, გაიტანეს) „ბებერი ქალბატონისთვის" მეასე გაშვებული იქნება.

ახლა სტატისტიკას შევეშვათ და მიწიერ პრობლემებს მივხედოთ.

„ლივერპულს" ექვსი ფეხბურთელი აკლია: დიტმარ ჰამანი (მუხლი), ჰარი კიუელი (მყესი), ფლორენ სინამა-პონიოლი (მუხლი), ჯიბრილ სისე (ფეხი აქვს მოტეხილი), ხაბი ალონსო (კოჭი) და ნილ მელორი (მუხლი). ამათ გარდა, ბოლომდე მომჯობინებული არ არის მეკარე ირჟი დუდეკიც, თუმთა მისი თამაში ამ ექვსეულისგან განსხვავებით, გამორიცხული არ არის.

ფერნანდო მორიენტესს არაფერი აწუხებს და არც დისკვალიფიცირებულია, მაგრამ რაკი საამსეზონო ლიგაში „რეალში" აქვს ნათამაშევი, „ლივერპულს" მისი სალიგო შემადგენლობაში ყოლის უფლება არ აქვს.

ტურინელებს ერთი შეხედვით ნაკლები პრობლემები აქვთ — ფეხმტკივანი ჩირო ფერარა და ოლივიე კაპო ვერ ითამაშებენ. საეჭვოა მარსელო ზალაიეტასა და დავიდ ტრეზეგეს მოედანზე გასვლაც. მაგრამ, თუ გავიხსენებთ, რომ სწორედ ზალაიეტას და ტრეზეგეს გოლებით გააგდო „იუვემ" მერვედფინალიდან მადრიდის „რეალი", ამათმა შესაძლო არყოფნამ ეგებ ლივერპულელთა დანაკლისი გადაფაროს.

იტალიელებს არც დისკვალიფიცირებული ალესიო ტაკინარდი ეყოლებათ, მაგრამ პაველ ნედვედი მომჯობინდა და ეს დაგვეთანხმებით, უმნიშვნელო ამბავი არ არის.

„იუვენტუსი" მატჩს უფრო დასვენებული ხვდება, რაკი სერია A-ს ტური გადაიდო, რომელშიაც ტურინელებს „ფიორენტინასთან" უნდა ეთამაშათ.

„ლივერპული" კი ამ უქმეებზე „ბოლტონს" შეხვდა და გვარიანი გაჭირვებით, იგორ ბიშკანის გვიანი გოლით დაამარცხა.

**ირაკლი ნინიძე**



„იუვენტუსს" პაველ ნედვედი უბრუნდება, დავიდ ტრეზეგეს თამაში კი საეჭვოა

### ურთიერთშეხვედრები

| | |
| --- | --- |
| **თასების თასის პირველი ეტაპი** | |
| 29.09.1965 | იუვენტუსი 1:0 ლივერპული |
| 13.10.1965 | ლივერპული 2:0 იუვენტუსი |
| **ჩემპიონთა თასის ფინალი** | |
| 29.05.1985 | იუვენტუსი 1:0 ლივერპული |



**ალან ჰანსენი**

## ეიზელი, 20 წლის წინ

### „ლივერპულის" ლეგენდარული მცველის მოგონებები სისხლიან ფინალზე, რომლის მონაწილეც თავად იყო

**ახლა,** „ენფილდზე" „იუვენტუსის" სტუმრობის წინ, ძალიან მიჭირს, გონებიდან ამოვიშალო ოცი წლის წინანდელი ტრაგედია. ის, რაც მაშინ „ეიზელზე" მოხდა, მთელი ეს წლებია, მოსვენებას არ მაძლევს.

„ეიზელი" უშავესი ფურცელია „ლივერპულის" ისტორიაში, ისევე როგორც ოთხი წლის მერე „ჰილსბოროზე" დატრიალებული ტრაგედია. მე ორივე ამ მატჩის მონაწილე ვარ და ამ ორივე მატჩში ფეხბურთი მეორეხარისხოვანი არავის ახსოვდა.

მე არასდროს გამიმართლებია ის ინგლისელი გულშემატკივრები, რომლებმაც სასაკლაო მოაწყვეს „ეიზელზე", მაგრამ სრული წარმოდგენის შესაქმნელად, ისიც უნდა ვთქვათ, რომ ბევრი სხვა მიზეზიც იყო და სწორედ მიზეზთა საშინელი თანხვედრის გამო დატრიალდა ტრაგედია.

განგაში ჯერ კიდევ მაშინ უნდა აგვეტეხა, როცა ჩემპიონთა თასის ფინალის მასპინძლად ბრიუსელის „ეიზელი" გამოცხადდა.

ფინალამდე ათი დღით ადრე, „ლივერპულის" გულშემატკივართა მეთაურსველაპარაკე. ხომ ემზადებით ფინალისთვის-მეთქი, ვკითხე. მან მიპასუხა, რომ კლუბის თავმჯდომარე პიტერ რობინსონი შეშფოთებული იყო იმით, რომ ბელგიელებმა ინგლისელი და იტალიელი გულშემატკივრებისთვის ერთ ტრიბუნა'ზე, მეზობელ სექტორებში გამოყვეს ადგილები. რობინსონი კი ამგვარ საკითხებში ღრმად იყო ჩახედული და ადგილების ამგვარ განაწილებას, ბუნებრივია, რომ შეშფოთებული შეხვდებოდა.



სხვა მიზეზიც იყო. „ეიზელამდე" ჩემპიონთა თასის სამი ფინალი მქონდა ნათამაშევი და ვიცოდი, რომ უბილეთო კაცი სტადიონზე არათუ ვერ შევიდოდა, ერთი მილის მანძილზეც ვერ მიუახლოვდებოდა. ბრიუსელში კი სტადიონის გარშემო არავინ იცავდა წესრიგს და ვისაც მოესურვებოდა, ყველას შეეძლო სტადიონთან მისვლა და შიგნით შესვლაც კი.

თამაშის დაწყებამდე ერთი საათით ადრე ლივერპულელი ფეხბურთელები ჩვენი გულშემატკივრების მისასალმებლად გავედით და იტალიელთა სექტორიდან აგურის ნატეხები დაგვიშინეს. დამეთანხმებით, სტადიონზე ჯიბით არავის მიაქვს აგურები. ეს ტრიბუნებიდან მოტეხილი აგურები იყო. ანუ იმის თქმა მინდა, რომ თავად სტადიონიც ცუდად იყო მოვლილი, თორემ კაცი აგურებს როგორ მოატეხდა.

სექტორებსაც უბრალო დაბალი მავთულის ბადე ყოფდა, ისეთი, ეზოებს რომ აქვს შემოვლებული და მხოლოდ იმისთვისაა განკუთვნილი, შენი ტერიტორია მეზობლისგან რომ განაცალკევო, თორემ ეგეთი ბადე ვერაფრისგან დაგიცავს.

ერთი სიტყვით, ჯერ კიდევ თამაშის დაწყებამდე ცუდი წინათგრძნობა გვქონდა და ამ დროს, გასახდელში ვიღაცამ ამბავი მოიტანა, რომ ტრიბუნებზე რაღაც ძალიან ცუდი ხდებოდა და დაღუპულებიც იყვნენ.

ამან ფეხბურთი საერთოდ გადამავიწყა, რადგან ტრიბუნაზე ჩემი ცოლიც იჯდა.

მერე, დიდი ბჭობის შედეგად გადაწყდა, რომ მაინც ვითამაშებდით. როგორც გითხარით, სურვილი არავის გვქონდა, მაგრამ გვითხრეს და უნდა გვეთამაშა, ჩვენ ხომ პროფესიონალი ფეხბურთელები ვიყავით.

მეორე დღეს სახლში დავბრუნდი. მთლიანად გამოფიტული ვიყავი, ფიქრის თავიც კი არ მქონდა და დავიძინე.

თავი უკეთესად არც მომდევნო დღეებში მიგრძვნია. როგორი არის იცით? თავიდან ამაზე ყოველდღე ფიქრობ, მერე კვირაში ერთხელ, მერე თვეში ერთხელ გახსენდება და ასე შემდეგ. მაგრამ ყოველთვის, როცა იხსენებ, როგორ უეცრად და სულელურად დაკარგეს ადამიანებმა საყვარელი ხალხი, განცდა ისევ ისეთია, როგორც მაშინ, ოცი წლის წინ.

# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. მეოთხედფინალი. პირველი მატჩი

**წილისყრამ** „ლიონი“ და „პსვ ეინდჰოვენი“ რომ დააწყვილა, ორივე გუნდის ბოსებს ალბათ გაუხარდათ, რადგან მათთვის ეს ვარიანტი სჯობდა, ვიდრე მაურინიუს დაქოქილ „ჩელსისთან“ ანაც კაპელოს „იუვენტუსთან“ თამაში. თუმცა წილისყრამდე რამდენიმე დღით ადრე მილანის „ინტერის“ პატრონმა მასიმო მორატიმ განაცხადა, „ლიონთან“ შეხვედრას არ ვისურვებდი, ძალიან კარგად შეთამაშებული და აწყობილი გუნდიაო.

მოკლედ, „ლიონი“ — პსვ, დანარჩენ სამ წყვილთან შედარებით თითქოს თვალში გვეპატარავება, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ: „ლიონმა“ ბოლო სამი წლის განმავლობაში ზედიზედ სამჯერ მოიგო საფრანგეთის ჩემპიონატი და ახლა მეოთხედ მიიწევს ჯილდოსკენ. მორატისა არ იყოს, გუნდის ფეხბურთელები აშკარად შეხმატკბილებულნი არიან, რაკი მიჯრით სამი სეზონი ერთად თამაშობენ. „ლიონმა“ ჩემპიონთა ლიგის შარშანდელი გათამაშების მეოთხედფინალში გააღწია და მომავალ ჩემპიონ „პორტუსთან“ დამარცხდა. ფრანგები ამჯერად უფრო შორს ანუ ნახევარფინალში გასვლას აპირებენ.

„ლიონი“ ჯგუფურ ეტაპზე პირველ ადგილზე გავიდა და თვით „მანჩესტერ უნაიტედს“ გადაასწრო. ჯგუფში კი მხოლოდ ერთი შეხვედრა წააგო სტუმრად „ოლდ ტრეფორდზე“.

მერვედფინალში ფრანგებს გერმანიის ჩემპიონი, ბრემენის „ვერდერი“ შეხვდათ. პოლ ლე გუენის შეგირდებმა აშკარად დაჩაგრეს მეტოქე: პირველ მატჩში სტუმრად 3:0 მოუგეს, შინ კი სამარცხვინოდ, 7:2 გაანადგურეს. ასეთი შთამბეჭდავი გამარჯვების შემდეგ „ლიონს“ უკვე მოწიწებით მოიხსენიებენ. აღსანიშნავია ისიც, რომ წლეულს ლიონელებმა მხოლოდ ხუთი თამაში წააგეს — მათ შორის ორი ჩემპიონატში, ორი თასზე და ერთიც ჩემპონთა ლიგაში.

საფრანგეთის ჩემპიონთა პრეზიდენტი ჟან-მიშელ ოლა ამბიციური კაცია. გასულ უქმეებზე „ლანსთან“ 1:0 მოგების შემდეგ მან თქვა: „ეს შეხვედრა განსაკუთრებული იყო, რადგან პსვ-სთან მატჩისთვის ტაქტიკურადაც მოვემზადეთ. თავისთავად მნიშვნელოვანია, რომ კვლავ მოვიგეთ და ვაპირებთ, ასე გავაგრძელოთ. მწვრთნელმა ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელს დასვენების საშუალება მისცა და მიუხედავად ამისა, გუნდმა მაინც კარგად ითამაშა. შარშან მეოთხედფინალში გავედით, ამ სეზონის დაწყებისას კი განვაცხადე, რომ ამჯერად ჩვენი სამიზნე სულ ცოტა, ნახევარფინალიათქო. ვფიქრობ, ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო თავდასხმა გვყავს, რადგან 27 გოლი გავიტანეთ, პსვ-სთან კი 1:0-ზეც თანახმა ვარ. პოლ ლე გუენს კლუბთან კონტრაქტი არ გაუგრძელებია, მაგრამ ყველაფერი კარგა მიდის და ალბათ მწვრთნელი სამომავლოდ აქ დარჩენაზე კვლავ დაგვთანხმდება. ჯერჯერობით ამ თემაზე არ ვსაუბრობთ და ვიმედოვნებ, რომ ამის თაობაზე პოლს ჩემპიონთა ლიგის ფინალის შემდეგ გავესაუბრები, როცა ფინალში „ლიონი“ ითამაშებს“.


პიერლუიჯი კოლინა: იმედი მაქვს, ორივე გუნდი კორექტულად ითამაშებს

## თქვენ მე თვალში ხომ არ გეპატარავებით?

## ლე გუენმა დეშანს დაურეკა

ლიონი. „სტად ჟერლანი“. მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია). 22.45 საათი

### ლიონი — პსვ ეინდჰოვენი

### სავარაუდო შემადგენლობები

| ლიონი | პსვ ეინდჰოვენი |
| --- | --- |
| კუპე, რეველიერი, კრისი, კასაპა, აბიდალი, ჟუნინიო, ესიენი, მ. დიარა, მალუდა, ვილტორდი, გოვუ | გომესი, ოიერი, ალექსი, ბუმა, ი. ლი, ვან ბომელი, ფოგელი, კოკუ, პარკი, ვენეგოორ ოფ ჰესელინკი, ფარფანი |
| **მწვრთნელი:** პოლ ლე გუენი | **მწვრთნელი:** გუს ჰიდინკი |

**დისკვალიფიცირებული**

| | |
| --- | --- |
| არავინ | არავინ |

**ტრავმირებული**

| | |
| --- | --- |
| არავინ | ჯონ დე იონგი |

პოლ ლე გუენი მეგობარ დიდიე დეშანთან დარეკვას აპირებდა, პსვ-ზე დაწვრილებითი ინფორმაციას მოსაწვდისო. „პსვ, ისევე როგორც „ლიონი“, მედიის ყურადღებით განებივრებული არაა — ამბობს ლე გუენი — მაგრამ ვიცი, რომ მეტოქეს ბევრი გამოცდილი ფეხბურთელი ჰყავს, რომლებიც თავ-თავის ნაკრებებში თამაშობენ. მერჩივნა, რომ პირველი მატჩი სტუმრად გვქონოდა, თუმცა რაკი წილისყრამ ასე ინება, ვეღარაფერს შევცვლით“.

ეინდჰოვენში, საფრანგეთიდან ჩასულმა კლუბის მზვერავმა რემი გარდემ კი აღნიშნა, „ლიონი“ და პსვ დაახლოებით მსგავს ფეხბურთს თამაშობენ და მათ შორის ის მოიგებს, ვინც უფრო გამძლე გამოდგებაო.

ლიონელმა მაჰამადუ დიარამ თქვა, სანახავად კარგი მატჩი ალბათ არ გამოვა, რადგან სასწორზე ნახევარფინალი დევს, საიდანაც ფინალამდე ნაბიჯიაო.

მასპინძელთა ძირითადი შემადგენლობის ყველა ფეხბურთელი ჯანზეა. წლეულს გუნდს ტრავმები სტანჯავდა და ახლა პირველი შემთხვევაა, რომ ტრავმულის არავინ ჰყავს.

ლიონელები ჰოლანდიურ გუნდს ბოლოს ორი წლის წინ შეხვდნენ. მაშინ ამსტერდამის „აიაქსმა“ ორჯერვე აჯობა ფრანგებს.

მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შემდეგ, სამხრეთ კორეიდან წამოსულმა გუს ჰიდინკმა პსვ რომ ჩაიბარა, პირველივე სეზონში ქვეყნის ჩემპიონი გახადა.

შარშან, ჰოლანდიური ოქრო „აიაქსს“ ერგო, წლეულს კი ჩემპიონატში გვარიანი მარაგით [illegible] პსვ ლიდერობს და [illegible] ადგილსაც ვერავინ წაართმევს.

გუნდის ხერხემალი და [illegible] საყრდენი ნახევარმცველი მარკ ვან ბომელია, რომლის გადაბირებასაც არაერთი ევროპული ცდილობს. მასთან ერთად მოედნის ცენტრში ფილიპ კოკუ გვარიანი ძალაა, ხოლო შეტევაში [illegible] ვენეგოორ ოფ ჰესელინკი და ჯეფერსონ ფარფანი „ბზრიალებენ“.

პსვ-მ ერთი ფრანგული გუნდი აქამდე უკვე ჩამოიშორა — მერვედფინალში ჩემპიონთა ლიგის შარშანდელი ფინალისტი, „მონაკო“ დამარცხა, თან ისე, რომ მეტოქისგან გოლი არ გაუშვია. თუმცა, ახლა უნდა ვთქვათ, რომ წლევანდელი „მონაკო“ შარშანდელის [illegible]

**ვაჟა ხუციშვილი**


როგორ დამოძღვრა გუს ჰიდინკმა შეგირდები, დღეს გამოჩნდება


პოლ ლე გუენმა ჟურნალისტებთან „ლიონის“ შანსებზეც ისაუბრა

### ურთიერთშეხვედრები

ერთმანეთს არ შეხვედრიან

# ელ მორო ჯერარდს აკავებს



ფერნანდო მორიენტესი

„ლივერპულის" ესპანელმა ფორვარდმა ფერნანდო მორიენტესმა დაადასტურა ინფორმაცია, რომ მისი ყოფილი გუნდი მადრიდის „რეალი" სტივენ ჯერარდით მართლაც დაინტერესებულია, საბოლოო სიტყვა კი ცხადია, თავად ფეხბურთელზეა დამოკიდებული.

„ჩემს ყოფილ თანაგუნდელებს ხშირად ვესაუბრები და ისინი მეკითხებიან-ხოლმე ჯერარდზე. სტივენისადმი ყველა კარგადაა განწყობილი და „რეალი" მართლაც ფიქრობს მის შეძენაზე, თუმც ეს არ უნდა დავუშვათ. ჯერარდი ჩვენი კაპიტანი და გუნდის ნამდვილი ლიდერია, ამიტომ სეზონი წარმატებულად უნდა ჩავამთავროთ, რათა სტივი დარჩეს" — განმარტა მორიენტესმა.

**გიორგი ქაქაბაძე**

## პოლონეთი

### პირველი ლიგა. XVI ტური

გროცლინი — პლოცკი 1:2; ზაგლებე — ლეგია 0:0; ლეხი — პოგონი 0:1. *გურნიკი — ამიკა, ლეჩნა — ვისლა და ოდრა — კრაკოვია გადაიდო*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 15 | 13 | 2 | 0 | 48:9 | 41 |
| ლეგია | 16 | 9 | 5 | 2 | 24:12 | 32 |
| გროცლინი | 16 | 10 | 1 | 5 | 31:19 | 31 |
| ამიცა | 14 | 7 | 4 | 3 | 20:13 | 25 |
| პლოცკი | 15 | 7 | 2 | 6 | 21:22 | 23 |
| ზაგლებე | 15 | 5 | 6 | 4 | 23:23 | 21 |
| კრაკოვია | 14 | 5 | 4 | 5 | 20:14 | 19 |
| პოლონია | 16 | 5 | 4 | 7 | 17:30 | 19 |
| პოგონი | 16 | 5 | 3 | 8 | 20:32 | 18 |
| გურნიკი | 14 | 4 | 4 | 6 | 19:17 | 16 |
| ოდრა | 14 | 4 | 2 | 8 | 15:19 | 14 |
| ლეჩნა | 15 | 4 | 2 | 9 | 14:24 | 14 |
| ლეხი | 15 | 3 | 3 | 9 | 17:30 | 12 |
| კატოვიცე | 15 | 2 | 2 | 11 | 14:39 | 8 |

## ავსტრია

### მაქსბუნდესლიგა XXVII ტური

ავსტრია — ტიროლი 1:0; შტურმი — ადმირა 0:0; პაშინგი — ბრეგენცი 2:0; ზალცბურგი — გრაცერი 0:1; მატერსბურგი — რაპიდი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პაშინგი | 25 | 16 | 3 | 6 | 44:30 | 51 |
| ავსტრია | 25 | 14 | 7 | 4 | 46:16 | 49 |
| რაპიდი | 24 | 13 | 7 | 4 | 40:18 | 46 |
| გრაცერი | 26 | 13 | 5 | 8 | 35:23 | 44 |
| მატერსბურგი | 27 | 10 | 6 | 11 | 38:43 | 36 |
| ტიროლი | 27 | 8 | 9 | 10 | 38:38 | 33 |
| ადმირა | 25 | 8 | 5 | 12 | 29:41 | 29 |
| შტურმი | 27 | 7 | 6 | 14 | 24:38 | 27 |
| ზალცბურგი | 26 | 6 | 6 | 14 | 28:38 | 24 |
| ბრეგენცი | 26 | 4 | 6 | 16 | 24:61 | 18 |

### I დივიზიონი. XXV ტური

ალტახი — კერნტენი 0:0; უნტერზიბენბრიუნი — ლინცერი 0:0; ლეობენი — გრატკორნი 2:0; ვიორგლი — ავსტრია (ლ) 2:1; რიდი — კაპფენბერგი 4:1

## ჩილე

### კლაუსურა. XI ტური

უაჩიპატო — პუერტო მონტი 1:4; რეინჯერსი — დეპორტესი 1:1; ესპანიოლა — უნივერსიდად დე ჩილე 0:2; კობრესალი — მელიპილია 1:2; აუდაქს იტალიანო — კობრელოა 3:0; კოლო კოლო — კოკიმბო 2:0; ლა სერენა — უონდერერსი 2:3; ევერტონი — ტემუკო 3:0; პალესტინო — უნივერსიდად კათოლიკა 0:1; სან ფელიპე — კობრესალი 1:2

## არგენტინა

### კლაუსურა. VII ტური

ურაკანი — სან ლორენსო 2:2; არგ. ხუნიორსი — კილმესი 0:1; ინდეპენდიენტე — ხიმნასია 2:0; ესტუდიანტესი — რასინგი 2:2; როსარიო — ოლიმპო 1:0; ინსტიტუტო — ოლდ ბოიზი 4:3; ბანფილდი — ალმაგრო 4:1; კოლონი — ლანუსი 4:0;ველესი — ბოკა ხუნიორსი 2:0; რივერ პლეიტი — არსენალი 2:0

## დანია

### I დივიზიონი. XXII ტური

ჰელერუპი — ფრემი 1:1; აკადემისკი — ნესტვედი 1:2; ბ-93 კოპენჰაგენი — ნიკიობინგი 1:2; ფრედერისია — სკიოლდი 1:1; იოლსტიკე — ფრემადი 1:0; ჰორსენსი — ბრიონსჰიოი 3:0; კიოგე — დალუმი 3:1; სიონდერიულანდი — ვაილე 4:0

## ჩეხეთი

### გამბრინუს ლიგა XXI ტური

პრჟიბრამი — სპარტა 3:1; ბლშანი — სიგმა 2:2; ლიბერეცი — ბოლესლავი 1:3; ოპავა — სლოვაცკო 2:2; ბუდეიოვიცე — დრნოვიცე 2:1; ზლინი — ბანიკი 1:1; ტეპლიცე — ბრნო 3:1; სლავია — იაბლონეცი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 21 | 16 | 3 | 2 | 42:17 | 51 |
| ტეპლიცე | 20 | 9 | 9 | 2 | 20:14 | 36 |
| სლავია | 20 | 9 | 6 | 5 | 29:19 | 33 |
| იაბლონეცი | 21 | 8 | 8 | 5 | 21:17 | 32 |
| ლიბერეცი | 20 | 8 | 7 | 5 | 29:16 | 31 |
| სიგმა | 20 | 9 | 4 | 7 | 22:20 | 31 |
| ბანიკი | 21 | 7 | 9 | 5 | 24:24 | 30 |
| სლოვაცკო | 21 | 6 | 10 | 5 | 19:16 | 28 |
| ბოლესლავი | 21 | 5 | 9 | 7 | 23:25 | 24 |
| ზლინი | 21 | 5 | 9 | 7 | 19:24 | 24 |
| ოპავა | 21 | 5 | 8 | 8 | 22:25 | 23 |
| პრჟიბრამი | 21 | 5 | 6 | 10 | 20:33 | 21 |
| ბლშანი | 21 | 5 | 6 | 10 | 18:31 | 21 |
| დრნოვიცე | 20 | 5 | 5 | 10 | 21:26 | 20 |
| ბრნო | 20 | 5 | 5 | 10 | 15:29 | 20 |
| ბუდეიოვიცე | 21 | 3 | 6 | 12 | 17:25 | 15 |

## შვეიცარია

### სუპერლიგა. XXIV ტური

ბაზელი — აარაუ 4:2; გრასჰოპერი — შაფჰაუზენი 3:1; თუნი — ქსამაქსი 2:1; სენტ გალენი — ციურიხი 4:5

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაზელი | 24 | 13 | 6 | 5 | 51:34 | 45 |
| თუნი | 22 | 11 | 4 | 7 | 32:20 | 37 |
| ქსამაქსი | 23 | 9 | 6 | 8 | 30:27 | 33 |
| ციურიხი | 23 | 9 | 6 | 8 | 35:36 | 33 |
| გრასჰოპერი | 24 | 8 | 9 | 7 | 26:35 | 33 |
| იანგ ბოისი | 22 | 8 | 7 | 7 | 40:33 | 31 |
| სენტ გალენი | 23 | 6 | 9 | 8 | 33:37 | 27 |
| აარაუ | 22 | 6 | 6 | 10 | 31:35 | 24 |
| შაფჰაუზენი | 23 | 3 | 8 | 12 | 25:42 | 17 |
| სერვეტი | 18 | 6 | 5 | 7 | 24:28 | 23 |

*„სერვეტი" მოხსნილია ჩემპიონატიდან*

### ჩელენჯლიგა. XXV ტური

ვადუცი — ბოლმი 3:1; ივერდონი — ვოლენი 2:1; კიასო — ვინტერთური 0:1; ლუცერნი — ბადენი 3:2; მეირინი — კრინსი 2:2; სიონი — ბულე 2:2; კონკორდია — ვილი 1:1; იუვენტუსი — შო დე ფონი 1:2; ლუგანო — ბელინცონა 2:1

## სლოვენია

### სი მობილ ლიგა. XXII ტური

პრიმორიე — მურა 3:1; დრავა — მარიბორი 2:0; დომზალე — ბელა კრაინა 3:1; კოპერი — ზაგორიე 3:0; ლიუბლიანა — ოლიმპია 0:1; პუბლიკუმი — ნოვა გორიცა 1:1

## სლოვაკეთი

### პირველი ლიგა. XXI ტური

დუბნიცა — ჟილინა 0:0; პუხოვი — ინტერი 1:0; რუჟომბეროკი — ტრენჩინი 2:0; სობოტა — პეტრჟალკა 1:1; ბანსკა ბისტრიცა — ტრნავა 0:0

## სერბეთი

### პრვა ლიგა. XX ტური

ბორაცი — ვოივოდინა 3:0; ობილიჩი — ჩუკარიჩკი 1:0; ოფკ — ზემუნი 4:0; ცრვენა ზვეზდა — ზეტა 2:1; სარტიდი — ჰაიდუკი (კ) 3:1; ჟელეზნიკი — ჰაიდუკი (ბ) 3:0; ბუდუჩნოსტი — სუტიესკა 1:0; რადნიჩკი — პარტიზანი 1:2

## ხორვატია

### ნაციონალ ლიგა. XXII ტური

ჰაიდუკი — ინტერი 2:0; კამენი — ოსიეკი 3:1; მედიმურიე — ვარტექსი 2:0; ზაგრები — რიეკა 2:1; პულა — ზადარი 2:0; სლავენი — დინამო 3:1

## უნგრეთი

### ბორსოდი ლიგა. XIX ტური

ნირედიჰაზა — უიპეშტი 2:2; ვაშაში — შოპრონი 0:1; დიორ ეტო — ზალაეგერსეგი 4:1; ბეკეშჩაბა — ჰონვედი 3:0; დიოშდიორი — პეჩი 1:0; კაპოშვარი — ტატაბანია 1:2; ვიდეოტონი — დებრეცენი 2:2; მტკ — ფერენცვაროში 3:1

## ირლანდია

### პრემიერლიგა. III ტური

ბოჰემიანსი — დერი სიტი 0:1; ბრეი — დუბლინი 1:0; დროჰედა — სენტ პატრიკსი 1:1; შელბურნი — უოტერფორდი 1:0; ფინ ჰარპსი — შემროკი 1:1; ლონგფორდი — კორკ სიტი 0:1

## იაპონია

### ჯეი ლიგა. III ტური

იოკოჰამა — ნიიგატა 4:1; ივატა — შიმიცუ 1:1; კაშივა — კაშიმა 1:3; ნაგოია — ჰიროშიმა 1:1; ომია — სერეზო 1:0; კობე — ტოკიო 1:2; ოიტა — ურავა 1:0; გამბა — კავაზაკი 3:2; ვერდი — იჩიჰარა 2:2

## აშშ

### მეიჯორ სოკერ ლიგა. I ტური

ჩივასი — ვაშინგტონი 0:2; კოლამბუსი — ლოს ანჯელესი 3:0; დალასი — ჩიკაგო 2:1; ნიუ იორკი — სოლტ ლეიკი 0:0; კანზასი — კოლორადო 3:2; სან ხოსე — ნიუ ინგლენდი 2:2

## მექსიკა

### კლაუსურა. XI ტური

პუებლა — გვადალახარა 4:1; ტეკოსი — ტიგრესი 2:0; კრუზ ასული — ვერაკრუსი 3:0; ხაგუარესი — მორელია 0:2; მონტერეი — ნეკაქსა 1:1; დორადოსი — პაჩუკა 3:1; ატლასი — ტოლუკა 0:0. *ამერიკა — ატლანტე და სანტოსი — უნამი გადაიდო*

## უკრაინა

### უმაღლესი ლიგა. XX ტური

ილიჩევეცი — არსენალი 0:0; შახტარი — კრივბასი 4:2; ზაკარპატია — მეტალისტი 0:0; დნიპრო — ვორსკლა 3:1; დინამო — მეტალურგი (ზ) 1:2; ვოლინი — ობოლონი 1:0; ჩერნომორეცი — ბორისფენი 0:1; ტავრია — მეტალურგი (დ) 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შახტარი | 19 | 17 | 0 | 2 | 40:11 | 51 |
| დინამო | 20 | 15 | 3 | 2 | 41:10 | 48 |
| მეტალურგი (დ) | 20 | 11 | 4 | 5 | 27:21 | 37 |
| ვოლინი | 20 | 10 | 4 | 6 | 27:22 | 34 |
| ჩერნომორეცი | 20 | 10 | 3 | 7 | 21:15 | 33 |
| დნიპრო | 19 | 9 | 6 | 4 | 27:21 | 33 |
| ილიჩევეცი | 20 | 6 | 8 | 6 | 27:25 | 26 |
| მეტალისტი | 20 | 7 | 4 | 9 | 20:26 | 25 |
| ტავრია | 20 | 5 | 6 | 9 | 17:19 | 23 |
| არსენალი | 20 | 5 | 7 | 8 | 18:24 | 22 |
| კრივბასი | 20 | 5 | 7 | 8 | 16:24 | 22 |
| მეტალურგი (ზ) | 19 | 4 | 8 | 7 | 14:21 | 20 |
| ვორსკლა | 20 | 4 | 5 | 11 | 10:25 | 19 |
| ბორისფენი | 20 | 2 | 9 | 9 | 12:22 | 14 |
| ზაკარპატია | 19 | 2 | 8 | 9 | 11:22 | 13 |
| ობოლონი | 20 | 2 | 6 | 12 | 11:31 | 12 |

*„ბორისფენს" და „ზაკარპატიას" დაკლებული აქვთ 1-1 ქულა*

## როიალ ლიგა 2005

### მეორე ჯგუფი. მეორე ტური

ვოლერენგა (ნორვეგია) 2:2 გიოტებორგი (შვედეთი)




**ინგლისური** „მანჩესტერ იუნაიტედი" კვლავაც კვალიფიციური მეკარის ძიებაშია. „წითელ ეშმაკებს" გეზი ამჯერად აპენინებისკენ აუღიათ. როგორც ამბობენ, სერ ალექს ფერგიუსონმა „უდინეზეს" 28 წლის კარის დარაჯ მორგან დე სანქტისს დაადგა თვალი, ხოლო სიაში მეორე ინტერელი ფრანჩესკო ტოლდო ყოფილა. შეგახსენებთ, რომ „მანჩესტერი" იკერ კასილიასის გადაბირებასაც ცდილობს.

**ფრანგი ნახევარმცველის, ზინედინ ზიდანის აგენტმა ალან მილაჩიომ განაცხადა, ჩემი კლიენტი ნაკრებში დაბრუნებას არ აპირებსო. „პრესამ ყველაფერი გააბუქა. ნაკრებში დაბრუნება ზიზუს გეგმებში ნამდვილად არ შედის. მისი სიტყვები კი, ჩემი აზრით, უბრალო და სულელური საპირველაპრილო ხუმრობა იყო" — აღნიშნა მილაჩიომ.**

**იტალიური** „ინტერი" „ლეჩეს" ერთ-ერთი ლიდერითა და უკვე ეროვნული ნაკრების ფეხბურთელით მარკო კასეტით დაინტერესდა. 27 წლის მარჯვენა მცველი წლეულს საკმაოდ კარგ სეზონს ატარებს და კარგი პრესაც აქვს. აღსანიშნავია ისიც, რომ კასეტის „ნერაძურის" თანაქალაქელმა „მილანმაც" დაადგა თვალი.

**ინგლისური „არსენალი" კვლავ ეშლი კოულის შენარჩუნებას ცდილობს და ფეხბურთელთან მოლაპარაკებას აგრძელებს. გავრცელებული ინფორმაციით, „მეთოფეები" მალე 27 წლის მცველს ახალ კონტრაქტს და კვირაში 70 ათას გირვანქას შესთავაზებენ. შეგახსენებთ, რომ კოული კარგა ხანია, ხელფასის გაზრდას ითხოვს.**

**ესპანური** „ესპანიოლი" როკე სანტა კრუზის შეძენაზე ფიქრობს. თითქმის გადაწყვეტილია, რომ პარაგვაელი სეზონის ბოლოს მიუნხენის „ბაიერნს" დატოვებს. „მომავალ ზაფხულს 3-4 ფეხბურთელის ყიდვას ვაპირებთ და ერთ-ერთი მათგანი სწორედ სანტა კრუზია" — განაცხადა კატალონიელთა წარმომადგენელმა.

**ბელგიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირ ნენად იესტროვიჩით რამდენიმე პრემიერლიგის კლუბია დაინტერესებული.** განსაკუთრებით „ბლექბერნი" და მისი თავკაცი მარკ ჰიუზი აქტიურობენ. **„როვერსის" ხელმძღვანელობა 28 წლის სერბის სანაცვლოდ ბრიუსელის „ანდერლეხტს" 1,5 მილიონი გირვანქას სთავაზობს.**

**ინგლისური** „მანჩესტერის" თავკაცმა სერ ალექს ფერგიუსონმა „ბლექბერნთან" საშინაო ფრის შემდეგ აღიარა, რომ მის კლუბს ჩემპიონობის შანსი არა აქვს. „ახლა უკვე ნათელია. ასეთი თამაშით პირველობას ვერ მოიპოვებ. ვფიქრობ, მეორე ადგილის შენარჩუნებაც ძალიან გაგვიჭირდება, მაგრამ უნდა შევძლოთ" — დასძინა ბებერმა შოტლანდიელმა.

**იტალიური „უდინეზეს"** ფორვარდ ვინჩენცო იაკინტას შეძენა მადრიდის „ატლეტიკოსაც" სურს. ესპანური პრესა იუწყება, რომ **დედაქალაქელები ყველანაირად შეეცდებიან, იგი ხელში ჩაიგდონ.** თუმცა **თავად ფეხბურთელი ირწმუნება, იტალიაში მინდა დარჩენაო.**

**გერმანულმა** „ლევერკუზენმა" დაადასტურა ინფორმაცია, რომ უკრაინელი ანდრეი ვორონინი კლუბში კიდევ ორ წელიწადს გაატარებს. შეგახსენებთ, რომ ვორონინი „კიოლნის" საკუთრებაა, მაგრამ „ფარმაცევტები" მის გაშვებას არ აპირებენ. როგორც ირკვევა, უკვე ყველაფერი შეთანხმებულია.

**ჩეხი** ფორვარდით, მილან ბაროშით ესპანური „ვალენსიაც" დაინტერესდა. ახალგაზრდა ფეხბურთელმა მომავალ ზაფხულს შესაძლოა, მართლაც დატოვოს „ლივერპული", თუმცა მას იტალიაში გადასვლა უფრო ხიბლავს. ბაროშს სამი აპენინური კლუბი — „ფიორენტინა", „პალერმო" და „სამპდორია" ეპატიჟება.

**ესპანური** „ბილბაოს" თავდამსხმელმა სანტიაგო ესკერომ „ბარსელონაში" გადასვლის შესაძლებლობა გამორიცხა: „არანაირი თანხმობა არავისთვის არ მიმიცია, ეს ტყუილია. კიდევ ერთხელ ვამბობ, ჩემთვის მთავარი „ბილბაოა" და არსად წასვლას არ ვაპირებ".

**ინგლისური „ლივერპულის" ნახევარმცველი იგორ ბიშკანი შესაძლოა, რომის „ლაციოში" აღმოჩნდეს. ხორვატს მერსისაიდელებთან მოქმედი კონტრაქტი სეზონის ბოლოს ეწურება და „ენფილდის" დატოვებაზე ფიქრობს. იტალიური კლუბის წარმომადგენლები მასთან მოლაპარაკების დაწყებას მომავალ კვირაში გეგმავენ.**

**იტალიური** „ლივორნოს" მფლობელი ალდო სპინელი კლუბის გაყიდვაზე ფიქრობს. საინტერესოა, რომ „ლივორნოს" შეძენას „ფიორენტინას" ყოფილი პრეზიდენტი ვიტორიო ჩეკი გორი აპირებს. მოგეხსენებათ, ფლორენციელთა გაკოტრება სწორედ ამ უკანასკნელს ბრალდება.

**ჰოლანდიელი** სპეციალისტი ლეო ბეენჰაკერი ტრინიდადისა და ტობაგოს ეროვნული გუნდის თავკაცად დანიშნეს — 62 წლის ჰოლანდიელმა ბერტილ სენტ კლაირი შეცვალა, რომელიც კოსტა რიკასთან საშინაო 0:0-ის შემდეგ გაათავისუფლეს. ბეენჰაკერის თანაშემწედ ნაკრების ყოფილი კაპიტანი რასელ ლატაპი იმუშავებს. შეგახსენებთ, ლეო ბეენჰაკერს „ფეიენოორდში", „აიაქსში" „სარაგოსაში" „ვოლენდამში", მადრიდის „რეალში", „გრასჰოპერში", მექსიკურ „ამერიკასა" და „გვადალახარაში", „ისთანბულსფორში" და „ვიტესში" უმუშავია.

## სამხრეთული სამშაბათი

ლადო ხოშტარია





კარლოს ტევესმა დანიელ პასარელას თავად სთხოვა — დამასვენეო

# დანიელ, შე პირო

## ტევესმა პასარელა დაიცვა

**ბრაზილიური** „კორინთიანსის" ინჩასიბამ გუნდის მწვრთნელი, არგენტინელი დანიელ პასარელა უშვერი სიტყვებით გათათხა და სტვენა-ღრიანცელით აიკლო.

საქმე ის გახლავთ, რომ შაბათს, სან პაულუს შტატის ჩემპიონატის მატჩში „იტუანოს" წინააღმდეგ პასარელამ ჩინებულად მოთამაშე თანამემამულე შეგირდი კარლოს ტევესი ანდრეს ხილით შეცვალა, რაც გულშემატკივრებს არ მოეწონათ და „კორინთიანსის" დამრიგებელს „ბუროს" (ვირი) გარდა, სხვა ბევრი „ტკბილი სიტყვა" უთხრეს, რომელთა გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნებას ცხადია, არც ვაპირებთ.

ზემოხსენებული შეხვედრა ფრედ 0:0 დასრულდა, ხოლო პასარელამ ტევესი მეორე ტაიმის 25-ე წუთზე შეცვალა — კარლიტოს მისთვის თავად უთხოვია, დამასვენეო, რაც ინჩასებმა ვერ შეამჩნიეს.

რამ დაღალა 20 წლის ახალგაზრდა? თურმე ტევესს სულ ახლახან პირველი შვილი, გოგონა შეეძინა და ბედნიერი მამაც ჩვილის მოსანახულებლად ორიოდე დღით არგენტინაში გახლდათ. „კორინთიანსში" დაბრუნებულმაც საქმეს ცდა და მონდომება არ დააკლო, მაგრამ...

„მსაჯმა თავისი არაკომპეტენტურობით ორმაგად მაზარალა. გუნდს საჭირო სამი ქულა ვერ შევმატე და თან ამ გოლს ჩემს შვილს ფლორენციას ვუძღვნიდი" — აღნიშნა აღშფოთებულმა ტევესმა მატჩის შემდეგ და დასძინა, რომ ინჩასთაგან გამეტებულ პასარელას არავითარი ბრალი არ მიუძღვის.

კარლოს ტევესის აღშფოთების მიზეზი კი ის გახლდათ, რომ მან „იტუანოს" მეკარეს ის გოლი გაუტანა, რომელიც არბიტრმა ოფსაიდის გამო გაუუქმა. მერე მსაჯმა ყვითელი ბარათიც აუფრიალა, რის გამოც კარლიტო მორიგი ტურის მატჩს გამოტოვებს.

# სალასი სამშობლოში ბრუნდება

## მე ჩილეში მინდა...



მარსელო სალასი „რივერ პლეიტს" სავარაუდოდ ზაფხულში დატოვებს

**„რივერ პლეიტის"** ჩილელი მოიერიშე, ცნობილი მარსელო სალასი შეიძლება მომავალ სეზონში მშობლიურ „უნივერსიდადს" დაუბრუნდეს, კლუბს, სადაც „მატადორის" კარიერა დაიწყო.

როგორც არგენტინული მედია ვარაუდობს, „რივერის" თავკაცობის გეგმებში სალასი ვერ ჯდება და ვეტერანმაც ამიტომ გადაწყვიტა გუნდიდან წასვლა.

„მარსელო სალასი დიდი ფეხბურთელია და ყოველთვის შეიძლება მისგან რაიმე სასწაულს ველოდოთ" — აცხადებდა სულ ცოტა ხნის წინ „რივერის" პრეზიდენტი აგილარი, მაგრამ...

გაზეთები კი უკვე „მატადორის" სავარაუდო შემცვლელთა გვარებს ასახელებენ — „ალმაგროს" ოსვალდო მირანდო, „ხიმნასიას" კლაუდიო ენრია და „მონაკოს" არგენტინელი ხავიერ სავიოლა.

ამასობაში, „უნივერსიდადის" უფროსობა და გულშემატკივრები უკვე სიხარულით ელიან მარსელო სალასს.

„მასთან მოლაპარაკებას ადრეც ვაწარმოებდით, თუმცა მაშინ რიგი მიზეზების გამო მარსელომ „რივერში" დარჩენა არჩია. ახლა, როცა ვითარება რადიკალურად შეიცვალა, ეგებ საერთო ენა უფრო მალე გამოვძებნოთ" — თქვა ლინო დიასმა, „უნივერსიდადის" მწვრთნელმა. თავად მატადორი სამშობლოში დაბრუნების მოსურნეა — „მარსელოს ჩილეში დაბრუნება საკმაოდ რეალური ამბავია.

# დოკუმენტური კადრები

## ემირ კუსტურიცა: მარადონას შამთააღმწერელი

**დიეგო მარადონას** ცხოვრების და ფეხბურთის შესახებ მორიგ დოკუმენტურ ფილმს იღებენ.

სცენარის დამდგმელი რეჟისორი სახელგანთქმული ემირ კუსტურიცა გახლავთ, რომელიც გასულ შაბათს, ბუენოს აირესს ესტუმრა, რათა თავისი პროექტის კადრებად „ბოკა ხუნიორსის", მარადონას ყოფილი კლუბის, „სენტენარიო" გამოეყენებინა.

მოგეხსენებათ, „ბოკამ" 3 აპრილს, დაარსებიდან საიუბილეო, 100 წლისთავი იზეიმა, ლეგენდარული დიეგო კი „ლა ბომბონერას" ფიესტის მთავარმონაწილე იყო — მარადონა მშობლიურ არენაზე მითიურ პრომეთესავით ჩირაღდნით ხელში გამოვიდა და მას ათასობით აღტყინებული ინჩასის გარდა, კუსტურიცას ოპერატორების კამერებიც უმზერდნენ.

ერთი სიტყვით, გვარიანი სანახაობა იყო, ბოსნიელმა რეჟისორმა კი მედიელებს ფილმთან დაკავშირებით თავისი გეგმები გაანდო:

„სცენარის მიხედვით, ყველა იმ ქვეყნის მონახულება მოგვიწევს, სადაც დიეგო თავისი კარიერის მანძილზე ბურთაობდა. არგენტინა, ესპანეთი, იტალია — აი, ის გზა, სადაც ჩვენი გადამღები ჯგუფი იმოგზაურებს. გარდა ამისა, აუცილებლად ვეწვევით კუბასაც, რომელიც ეს კუნძული ხომ მარადონას ცხოვრების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეპიზოდთანაა დაკავშირებული".

ლეგენდარული „მიწისქვეშეთისა" და სხვა შედევრების ავტორის, როგორც ამბობენ, დოკუმენტური ფილმის გადაღება მარადონას ლეგენდარული გარეგნობის ამსახველი კადრებით უნდა დაიწყო, თუმცა კუსტურიცამ „სენტენარიოთი" აღაფრთოვანა და მშვიდ, შინაურებთან მოსაუბრე დიეგოს, მაღლიერ გულშემატკივართა წინაშე ჩირაღდნით გამოსული მარადონა ამჯობინა.



მალე დიეგო მარადონას კინოშიც ვიხილავთ

# ჩამწარებული იუბილე

## რატომ უნდა წავიდე?!

**„ბოკა ხუნიორსს"** 100 წლოვანი იუბილე ჩაუმწარეს — არგენტინულ კლაუსურაში, „ველეს სარსფილდმა" იუბილარს კუბეროსა და კასტრომანის გოლებით მოუგო.

„ხორხე ბენიტესი, „ბოკა ხუნიორსის" მწვრთნელი მიწასთან გასწორებული ჩანდა, მიუხედავად იმისა, რომ დიდოსტატურად ეცადა ჩვენთვის თავი ცივ, აუღელვებელ პიროვნებად წარმოედგინა, „ველესთან" თამაშით იმედგაცრუება აშკარად დაეტყო" — წერს გავლენიანი არგენტინული კლარინი".

პირველი გოლი კუბერომ ახლო მანძილიდან, თავური შეაგდო, მეორე კი მსაჯის მიერ დამატებულ დროში ლუის კასტრომანმა შორეული დარტყმით გაიტანა.

პატაგონიური გაზეთებიც ბენიტესის შესაძლო გადადგომაზე ალაპარაკდნენ, მაგრამ...

„არსად წასვლას არ ვაპირებ, საერთოდ ახლა გადადგომაზე და მსგავს სისულელეებზე ლაპარაკიც არ მსურს" — აღნიშნა ისედაც გაღიზიანებულმა დამრიგებელმა.

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **5 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 13 | იფსვიჩი-როტერჰემი | 1.3 | 4.3 | 8.5 | 1.0 | 1.12 | 2.85 |
| 22:45 | 14 | ბარნლი-ვესტ ჰემი | 2.55 | 3.3 | 2.4 | 1.43 | 1.23 | 1.38 |
| 22:45 | 15 | ქრიუ-დერბი | 2.9 | 3.3 | 2.2 | 1.54 | 1.25 | 1.32 |
| 22:45 | 16 | ლიდსი-შეფილდი | 2.3 | 3.2 | 2.8 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 22:45 | 17 | ლესტერი-ვულვერჰემპტონი | 2.25 | 3.3 | 2.7 | 1.33 | 1.22 | 1.48 |
| 22:45 | 18 | პლიმუთი-უოტფორდი | 1.85 | 3.2 | 3.8 | 1.17 | 1.24 | 1.73 |
| 22:45 | 19 | პრესტონი-ბრაიტონი | 1.5 | 3.6 | 6.0 | 1.05 | 1.2 | 2.25 |
| 22:45 | 20 | ქპრ-ჯილინგემი | 1.85 | 3.3 | 3.7 | 1.18 | 1.23 | 1.74 |
| 22:45 | 21 | რედინგი-მილუოლი | 1.8 | 3.3 | 4.0 | 1.16 | 1.24 | 1.8 |
| 22:45 | 22 | სტოკი-კარდიფი | 1.85 | 3.3 | 3.9 | 1.18 | 1.25 | 1.78 |
| 22:45 | 23 | უიგანი-სანდერლენდი | 2.25 | 3.2 | 2.8 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| | | **6 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 24 | ქოვენთრი-ნოტინგემი | 2.2 | 3.3 | 2.8 | 1.32 | 1.23 | 1.51 |
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | **5 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 37 | ჰარტლპული-პიტერბრო | 1.4 | 3.8 | 7.5 | 1.02 | 1.17 | 2.52 |
| 22:45 | 38 | ბრისტოლი-ბორნმუთი | 2.05 | 3.3 | 3.2 | 1.26 | 1.24 | 1.62 |
| 22:45 | 39 | ბარნსლი-რექსემი | 1.75 | 3.3 | 4.3 | 1.14 | 1.24 | 1.86 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | **6 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 51 | ოქსფორდი-მაკლსფილდი | 2.5 | 3.3 | 2.4 | 1.42 | 1.22 | 1.38 |
| | | **ინგლისი. კონფერენსი** | | | | | | |
| | | **5 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 63 | ჰერეფორდი-კარლაილი | 2.15 | 3.3 | 2.85 | 1.3 | 1.22 | 1.52 |
| 22:45 | 64 | ლეი-კონვი | 2.8 | 3.3 | 2.2 | 1.51 | 1.23 | 1.32 |
| 22:45 | 65 | ნორთვიჩი-ფორესტ გრინი | 1.8 | 3.3 | 4.0 | 1.16 | 1.24 | 1.8 |
| 22:45 | 66 | უოკინგი-სტივენეიჯი | 2.15 | 3.3 | 2.85 | 1.3 | 1.22 | 1.52 |
| 22:45 | 67 | დაგ ენდ რედი-ბარტონი | 1.7 | 3.4 | 4.3 | 1.13 | 1.21 | 1.89 |
| 22:45 | 68 | ექსეტერი-ჰალიფაქსი | 2.2 | 3.3 | 2.8 | 1.32 | 1.23 | 1.51 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **6 აპრილი** | | | | | | |
| 20:15 | 109 | კარლსრუე-ობერჰაუზენი | 1.8 | 3.3 | 3.85 | 1.16 | 1.22 | 1.77 |
| 20:15 | 110 | ერფურტი-უნტერჰახინგი | 2.05 | 3.3 | 3.1 | 1.26 | 1.23 | 1.59 |
| 20:15 | 111 | ფიურტი-ბურგჰაუზენი | 1.7 | 3.5 | 4.2 | 1.14 | 1.21 | 1.9 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.)** | | | | | | |
| | | **5 აპრილი** | | | | | | |
| 19:00 | 121 | არმინია(მ)-კილი | 2.3 | 3.2 | 2.6 | 1.33 | 1.22 | 1.43 |
| 21:30 | 122 | ქემნიცი-ვოლფსბურგი(მ) | 1.75 | 3.3 | 3.85 | 1.14 | 1.2 | 1.77 |
| 21:30 | 124 | ზტ.პაული-ჰამბურგი(მ) | 2.05 | 3.2 | 3.0 | 1.24 | 1.21 | 1.54 |
| 21:30 | 125 | უნიონი-ოსნაბრიუკი | 3.6 | 3.2 | 1.85 | 1.69 | 1.22 | 1.17 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (სამ.)** | | | | | | |
| | | **5 აპრილი** | | | | | | |
| 21:00 | 135 | ბაიერნი(მ)-აუგსბურგი | 1.85 | 3.3 | 3.5 | 1.18 | 1.21 | 1.69 |
| | | **6 აპრილი** | | | | | | |
| 20:00 | 136 | შტუტგარტი(მ)-მაინცი(მ) | 1.8 | 3.3 | 3.6 | 1.16 | 1.2 | 1.72 |
| 20:30 | 137 | აალენი-ფულენდორფი | 1.9 | 3.3 | 3.3 | 1.2 | 1.2 | 1.64 |
| | | **ავსტრია. ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **6 აპრილი** | | | | | | |
| 20:30 | 147 | ბრეგენცი-რაპიდი | 4.5 | 3.5 | 1.65 | 1.96 | 1.2 | 1.12 |
| 20:30 | 148 | ადმირა-პაშინგი | 3.6 | 3.4 | 1.85 | 1.74 | 1.22 | 1.19 |
| | | **ავსტრია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **5 აპრილი** | | | | | | |
| 20:30 | 154 | ალტახი-ვიორგლი | 1.75 | 3.3 | 4.0 | 1.14 | 1.21 | 1.8 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:30 | 155 | გრატკორნი-აუსტრია(ლ) | 3.0 | 3.2 | 2.05 | 1.54 | 1.21 | 1.24 |
| 20:30 | 156 | კაფენბერგი-უნტერზიბენბრუნი | 1.3 | 4.4 | 7.5 | 1.0 | 1.1 | 2.77 |
| 20:30 | 157 | კერნტენი-რიდი | 2.0 | 3.2 | 3.2 | 1.23 | 1.23 | 1.6 |
| 20:30 | 158 | ლინცერი-ლეობენი | 2.15 | 3.2 | 2.9 | 1.28 | 1.23 | 1.52 |
| | | **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **6 აპრილი** | | | | | | |
| 20:45 | 164 | შაფჰაუზენი-იანგ ბოიზი | 2.95 | 3.2 | 2.15 | 1.53 | 1.24 | 1.28 |
| 20:45 | 165 | აარაუ-ციურიხი | 2.35 | 3.2 | 2.6 | 1.35 | 1.23 | 1.43 |
| 20:45 | 166 | გრასჰოპერი-სტ.გალენი | 1.7 | 3.3 | 4.7 | 1.12 | 1.24 | 1.93 |
| | | **შვეიცარია** | | | | | | |
| | | **ჩელენჯლიგა** | | | | | | |
| | | **6 აპრილი** | | | | | | |
| 21:00 | 171 | ლუცერნი-კრინსი | 1.5 | 3.6 | 5.7 | 1.05 | 1.18 | 2.2 |
| 21:30 | 172 | ბადენი-კიასო | 5.3 | 3.7 | 1.5 | 2.17 | 1.16 | 1.06 |
| 21:30 | 173 | ბადენი-კიასო 1:0 | 2.6 | 3.5 | 2.0 | | | |
| 21:30 | 174 | ივერდონი-ვილი | 1.35 | 3.9 | 7.5 | 1.0 | 1.14 | 2.56 |
| 21:30 | 175 | ივერდონი-ვილი 0:1 | 1.9 | 3.7 | 2.6 | | | |
| | | **7 აპრილი** | | | | | | |
| 21:30 | 176 | შო დე ფონი-ვინტერთური | 2.25 | 3.3 | 2.7 | 1.33 | 1.22 | 1.48 |
| 21:30 | 177 | ბოლმი-სიონი | 2.45 | 3.2 | 2.45 | 1.38 | 1.22 | 1.38 |
| | | **ჰოლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **7 აპრილი** | | | | | | |
| 22:15 | 301 | აიაქსი-ტილბურგი | 1.25 | 4.8 | 9.5 | 1.0 | 1.1 | 3.18 |
| | | **ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **5 აპრილი** | | | | | | |
| 19:00 | 386 | სიგმა-ლიბერეცი | 1.95 | 3.1 | 3.5 | 1.19 | 1.25 | 1.64 |
| | | **6 აპრილი** | | | | | | |
| 19:00 | 387 | დრნოვიცე-ტეპლიცე | 2.6 | 2.9 | 2.5 | 1.37 | 1.27 | 1.34 |
| | | **სლოვაკეთი** | | | | | | |
| | | **5 აპრილი** | | | | | | |
| 17:00 | 408 | პუხოვი-რუჟომბეროკი | 2.3 | 3.1 | 2.8 | 1.32 | 1.26 | 1.47 |




| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ჩემპიონთა ლიგა** | | | | | | |
| | | **5 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 400 | ლივერპული-იუვენტუსი | 2.55 | 3.1 | 2.6 | 1.39 | 1.28 | 1.41 |
| 22:45 | 401 | ლიონი-პსვ | 1.75 | 3.3 | 4.5 | 1.14 | 1.25 | 1.9 |
| | | **6 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 402 | ჩელსი-ბაიერნი | 1.75 | 3.3 | 4.5 | 1.14 | 1.25 | 1.9 |
| 22:45 | 403 | მილანი-ინტერი | 2.0 | 2.9 | 4.0 | 1.18 | 1.33 | 1.68 |
| | | **უეფას თასი** | | | | | | |
| | | **7 აპრილი** | | | | | | |
| 20:30 | 404 | ცსკა-ოსერი | 1.8 | 3.2 | 4.2 | 1.15 | 1.25 | 1.81 |
| 22:45 | 405 | ავსტრია-პარმა | 2.25 | 3.0 | 3.0 | 1.28 | 1.28 | 1.5 |
| 22:45 | 406 | ნიუკასლი-სპორტინგი | 1.75 | 3.2 | 4.5 | 1.13 | 1.25 | 1.87 |
| 22:45 | 407 | ვილიარეალი-ალკმაარი | 1.55 | 3.5 | 5.0 | 1.07 | 1.18 | 2.05 |
| | | **ბელგია. თასი** | | | | | | |
| | | **6 აპრილი** | | | | | | |
| 22:30 | 524 | ლუვიე-ბრიუგე | 4.9 | 3.5 | 1.6 | 2.04 | 1.2 | 1.09 |
| | | **დანია. თასი** | | | | | | |
| | | **6 აპრილი** | | | | | | |
| 21:00 | 528 | ბრიონდბიუ-კოპენჰაგენი | 2.3 | 3.2 | 2.7 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 19:00 | 543 | ჰორსენსი-მიდტიულანდი | 3.3 | 3.2 | 1.95 | 1.62 | 1.22 | 1.21 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ლიბერტადორესის თასი | | | | | | |
| | | **5 აპრილი** | | | | | | |
| 23:45 | 529 | კარაკასი-ლიმა | 2.0 | 3.2 | 3.3 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 23:45 | 530 | სან ლორენსო-ჩივასი | 1.85 | 3.3 | 3.5 | 1.18 | 1.21 | 1.69 |
| 23:45 | 531 | ონსე კალდასი-კობრელოა | 1.65 | 3.3 | 4.6 | 1.1 | 1.21 | 1.92 |
| | | **6 აპრილი** | | | | | | |
| 23:45 | 532 | ბანფილდი-ტიგრესი | 1.75 | 3.2 | 4.0 | 1.13 | 1.21 | 1.77 |
| 23:45 | 533 | სანტოსი-უნივერსიტარია | 1.35 | 3.9 | 7.5 | [illegible] | 1.14 | 2.56 |
| 23:45 | 534 | ბოკა ხუნიორსი-პაჩუკა | 1.5 | 3.6 | 5.5 | 1.05 | 1.17 | 2.17 |
| | | ჰოკეი. შვედეთი | | | | | | |
| | | **5 აპრილი** | | | | | | |
| 21:15 | 600 | ფრიოლუნდა-ფერიესტადი | 1.85 | 4.2 | 2.6 | 1.28 | 1.08 | 1.6 |
| | | ჰოკეი. ფინეთი | | | | | | |
| | | **5 აპრილი** | | | | | | |
| 19:30 | 604 | იოკერიტი-ჰაამეენლინა | 1.55 | 4.5 | 3.5 | 1.15 | 1.07 | 1.96 |
| 19:00 | 605 | კერპეტი-ლუკო | 1.45 | 4.4 | 4.2 | 1.09 | 1.07 | 2.14 |
| | | ჰოკეი. ჩეხეთი | | | | | | |
| | | **5 აპრილი** | | | | | | |
| 19:00 | 541 | ზლინი-პარდუბიცე | 2.0 | 4.2 | 2.4 | 1.35 | 1.09 | 1.52 |
| | | ჰოკეი. სლოვაკეთი | | | | | | |
| | | **5 აპრილი** | | | | | | |
| 19:00 | 542 | ზვოლენი-სლოვანი | 1.9 | 4.3 | 2.55 | 1.31 | 1.08 | 1.6 |
| | | ჰოკეი. რუსეთი | | | | | | |
| | | **5 აპრილი** | | | | | | |
| 19:00 | 540 | დინამო-ლადა | 1.5 | 5.0 | 3.6 | 1.15 | 1.05 | [illegible] |

## ფრეს ბარეში(ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16400 | ლივერპული-იუვენტუსი | 1.75 | 1.8 |
| 16401 | ლიონი-პსვ | 1.25 | 3.1 |
| 16402 | ჩელსი-ბაიერნი | 1.25 | 3.1 |
| 16403 | მილანი-ინტერი | 1.4 | 2.3 |

# სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

# შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11400 ლივერპული-იუვენტუსი | 3.5 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.6 | 20.0 | 10.0 | 3.7 |
| 11401 ლიონი-პსვ | 2.3 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11402 ჩელსი-ბაიერნი | 2.5 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 7.0 |
| 11403 მილანი-ინტერი | 2.9 | 10.0 | 20.0 | 3.8 | 4.4 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 5.6 |
| 11404 ცსკა-ოსერი | 2.6 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11405 ავსტრია-პარმა | 3.2 | 10.0 | 20.0 | 4.2 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | 5.0 |
| 11406 ნიუკასლი-სპორტინგი | 2.6 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11407 ვილიარეალი-ალკმაარი | 2.3 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | [illegible] |

# I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10400 | ლივერპული-იუვენტუსი | 2.9 | 2.0 | 3.2 | 1.18 | 1.52 | 1.23 |
| 10401 | ლიონი-პსვ | 2.2 | 2.0 | 4.6 | 1.04 | 1.48 | 1.39 |
| 10402 | ჩელსი-ბაიერნი | 2.2 | 2.0 | 4.6 | 1.04 | 1.48 | 1.39 |
| 10403 | მილანი-ინტერი | 2.6 | 2.1 | 3.6 | 1.16 | 1.5 | 1.32 |
| 10404 | ცსკა-ოსერი | 2.3 | 2.0 | 4.3 | 1.06 | 1.49 | 1.36 |
| 10405 | ავსტრია-პარმა | 2.7 | 2.1 | .3.2 | 1.18 | 1.46 | 1.26 |
| 10406 | ნიუკასლი-სპორტინგი | 2.2 | 2.0 | 5.0 | 1.04 | 1.52 | 1.42 |
| 10407 | ვილიარეალი-ალკმაარი | 1.9 | 2.3 | 5.3 | 1.04 | 1.39 | 1.6 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13400 | ლივერპული-იუვენტუსი | 1.7 | 1.9 |
| 13401 | ლიონი-პსვ | 1.7 | 1.9 |
| 13402 | ჩელსი-ბაიერნი | 1.7 | 1.9 |
| 13403 | მილანი-ინტერი | 1.7 | 1.9 |
| 13404 | ცსკა-ოსერი | 1.7 | 1.9 |
| 13405 | ავსტრია-პარმა | 1.7 | 1.9 |
| 13406 | ნიუკასლი-სპორტინგი | 1.7 | 1.9 |
| 13407 | ვილიარეალი-ალკმაარი | 1.7 | 1.9 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12400 | ლივერპული-იუვენტუსი | 1.6 | 2.0 |
| 12401 | ლიონი-პსვ | 1.7 | 1.9 |
| 12402 | ჩელსი-ბაიერნი | 1.6 | 2.0 |
| 12403 | მილანი-ინტერი | 1.6 | 2.0 |
| 12404 | ცსკა-ოსერი | 1.6 | 2.0 |
| 12405 | ავსტრია-პარმა | 1.7 | 1.9 |
| 12406 | ნიუკასლი-სპორტინგი | 1.7 | 1.9 |
| 12407 | ვილიარეალი-ალკმაარი | 1.7 | 1.9 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, [illegible])

| | | | |
|---|---|---|---|
| 14400 | ლივერპული-იუვენტუსი | 1.9 | 1.9 |
| 14401 | ლიონი-პსვ | 1.65 | 2.2 |
| 14402 | ჩელსი-ბაიერნი | 1.65 | 2.2 |
| 14403 | მილანი-ინტერი | 1.75 | 2.1 |
| 14404 | ცსკა-ოსერი | 1.6 | 2.3 |
| 14405 | ავსტრია-პარმა | 1.8 | 2.0 |
| 14406 | ნიუკასლი-სპორტინგი | 1.65 | 2.2 |
| 14407 | ვილიარეალი-ალკმაარი | 1.3 | 2.55 |

## ლუწი რაოდენობის გოლი გავა მატჩში თუ კენტი (0:0-ითვლება ლუწად)

| | | ლუწი | კენტი |
|---|---|---|---|
| 17400 | ლივერპული-იუვენტუსი | 1.85 | 1.95 |
| 17401 | ლიონი-პსვ | 1.85 | 1.95 |
| 17402 | ჩელსი-ბაიერნი | 1.85 | 1.95 |
| 17403 | მილანი-ინტერი | 1.85 | 1.95 |
| 17404 | ცსკა-ოსერი | 1.85 | 1.95 |
| 17405 | ავსტრია-პარმა | 1.85 | 1.95 |
| 17406 | ნიუკასლი-სპორტინგი | 1.85 | 1.95 |
| 17407 | ვილიარეალი-ალკმაარი | 1.85 | 1.95 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|
| 15400 ლივერპული-იუვენტუსი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15401 ლიონი-პსვ | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15402 ჩელსი-ბაიერნი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15403 მილანი-ინტერი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15404 ცსკა-ოსერი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15405 ავსტრია-პარმა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15406 ნიუკასლი-სპორტინგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15407 ვილიარეალი-ალკმაარი | 3.0 | 2.8 | 2.0 |

## რომელი გუნდი გავა შემდეგ ეტაპზე

| | | | |
|---|---|---|---|
| 18400 | ლივერპული-იუვენტუსი | 2.9 | 1.35 |
| 18401 | ლიონი-პსვ | 1.65 | 2.2 |
| 18402 | ჩელსი-ბაიერნი | 1.6 | 2.3 |
| 18403 | მილანი-ინტერი | 1.55 | 2.3 |
| 18404 | ცსკა-ოსერი | 1.7 | 1.9 |
| 18405 | ავსტრია-პარმა | 2.3 | 1.5 |
| 18406 | ნიუკასლი-სპორტინგი | 1.65 | 2.0 |
| 18407 | ვილიარეალი-ალკმაარი | 1.4 | 2.6 |

## საქართველოს XV ჩემპიონატი

მეორე წრე. მეორე ტური

# ბათუმში ხელბურთი არ უნდათ?!

4 აპრილი

**საუ-მამული 47:21 გორი**

**საუ-მამული:** წივწივაძე (გაიტანა 16 გოლი), ცოტაძე (7), ხუციშვილი (6)
**გორი:** მშვიდობაძე (11), ქარქაშაძე (6)

**სტუ-შევარდენი 43:25 ქუთაისი**

**სტუ-შევარდენი:** რუსია (12), კობახიძე (10), ტალახაძე (8)
**ქუთაისი:** გოგონაძე (7), ჩუბინაშვილი (6), გობეჯიშვილი (4), დოლაკიძე (4)

**ხ/კ თბილისი 28:19 სამტრედია**

**თბილისი:** სამარღანიშვილი (10), გელაშვილი (4), სულიკაშვილი (4)
**სამტრედია:** ჯოჯუა (8), კარაკაშიანი (3), კაკაბაძე (3)

**ქარიშხალა 24:18 ჭაბუკები**

**ქარიშხალა:** ბერძენიშვილი (5), ქირია (4), საჯაია (4), გელა არაბული (4)
**ჭაბუკები:** მელქოშვილი (7), გიორგი ჩიქოვანი (5), მსხვილიძე (3)

**სამკვირიანი** შესვენების შემდეგ განახლდა ვაჟ ხელბურთელთა ეროვნული ჩემპიონატი. თამაშები საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზში ტარდება.

თბილისში ათივე გუნდი უნდა შეკრებილიყო, მაგრამ ამჯერადაც ვერ შეძლეს ჩამოსვლა ბათუმელებმა. მიზეზი, რა თქმა უნდა, ტრადიციულია — უფულობა. უცნაურია იქაური სპორტის ხელმძღვანელთა დამოკიდებულება ხელბურთელებისადმი. დაპირების მიუხედავად, გუნდის თბილისში სამივლინებო თანხა ისევ ვერ გამოინახა და ისევ ის ძველებური — თქვენ თავად ახლა როგორმე იშოვეთ ფული და მერე გადაგიხდითო. ეტყობა, აჭარაში ხელბურთის გუნდის ყოლა მაინცდამაინც არც სურთ.

ტურნირზე ჯერჯერობით სიმშვიდეა, დაწინაურებულები ადვილად ამარცხებენ აუტსაიდერებს. შედარებით დაძაბული და საინტერესო გამოდგა ჯემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის სკოლის წარმომადგენლების „ქარიშხალასა“ და ჭაბუკთა გუნდის მატჩი. პირველ წრეში მათი დაპირისპირება ასაკითაც და სატურნირო ცხრილშიც წინ მდგომ ქარიშხლელთა ხუთბურთიანი უპირატესობით დასრულდა. ამჯერადაც იგივე გამეორდა — უფროსები თავიდანვე დაწინაურდნენ და მეორე ტაიმის დასაწყისში ცხრაგოლიანი მარაგიც შეიქმნეს.

ბავშვებმა თამაშის დასრულებამდე 14 წუთით ადრე ჩამორჩენა ოთხამდე კი შეამცირეს — 13:17, მაგრამ „ქარიშხალას“ მოგება არ გასჭირვებია და ბრინჯაოს მედლებისთვის ბრძოლას აგრძელებს.

**გია ახალაძე**

**სატურნირო ვითარება**

| | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| სტუ-შევარდენი | 14 | 0 | 1 | +172 | 28 |
| თბილისი | 13 | 1 | 1 | +90 | 27 |
| საუ-მამული | 10 | 1 | 4 | +148 | 21 |
| ქარიშხალა | 10 | 1 | 4 | +53 | 21 |
| ქუთაისი | 8 | 1 | 6 | +36 | 17 |
| თელავი | 8 | 0 | 7 | +11 | 16 |
| ჭაბუკები | 6 | 0 | 9 | -70 | 12 |
| სამტრედია | 2 | 1 | 12 | -128 | 5 |
| ბათუმი | 1 | 1 | 13 | -121 | 3 |
| გორი | 0 | 0 | 15 | -191 | 0 |



# მოჭიდავეები სამაისო საპრეზიდენტოს ელიან



საჭიდაო სამყარო პრეზიდენტს 4 მაისს აირჩევს

**მეორე** თვეა, საქართველოს ჭიდაობის ფედერაციაში საკმაოდ გაურკვეველი ვითარებაა. პრეზიდენტის სავარძელი ოფიციალურად მოვალეობის შემსრულებელ თემურ ყაზარაშვილს უჭირავს, თუმც ჭიდაობაში მოტრიალე ხალხის ერთი ნაწილი პირველკაცად კვლავაც 11 თებერვლის რიგგარეშე ყრილობის მიერ უფლებამოხსნილ შეჩერებულ ბაკურ გოგიტიძეს მიიჩნევს.

ფარული თუ ღია დაპირისპირება მინიმუმ ერთი თვეც გაგრძელდება, მერე კი უმრავლესობის აზრი გაიმარჯვებს და პრეზიდენტობაც მათ რჩეულ კანდიდატს დარჩება.

ამ დღეებში ფედერაციიდან ბრძანება მოგვაწოდეს, რომელიც 4 მაისისთვის დაგეგმილ რიგგარეშე ყრილობას ეხება.

ყაზარაშვილის ბრძანებით, ყრილობას რვაკაციანი სამუშაო ჯგუფი მოამზადებს. გიორგი მაკასარაშვილს, დავით ხურციას, ნუგზარ სხიერელს, მუხრან ვახტანგაძეს, ვაჟა ილურიძეს, თემურ ყაზარაშვილს, ლადო ადეიშვილსა და სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე ჯუმბერ დავლიანიძეს ყრილობის ჩატარების უზრუნველყოფა ევალებათ. 4 მაისის დღის წესრიგი კი ასეთია:

*1. უფლებამოხსნილება შეჩერებული პრეზიდენტის, ბაკურ გოგიტიძის პრეზიდენტობიდან განთავისუფლება;*
*2. საპრეზიდენტო არჩევნები (პრეზიდენტის გათავისუფლების შემთხვევაში);*
*3. ცვლილებები წესდებაში;*
*4. პრეზიდიუმის არჩევნები;*
*5. ფედერაციის სათათბიროს შექმნა;*
*6. სხვადასხვა;*

ყრილობის ჩატარების ადგილი ჯერ უცნობია, ისევე როგორც პრეზიდენტობის კანდიდატთა სია. განაცხადების მიღება ფედერაციაში ზეგიდან იწყება და 29 აპრილამდე გასტანს.





ეროვნული ბიბლიოთეკა

მანუჩარ მარკოიშვილმა ტრავმა მოიშუშა

# ოლიმპიას ორმაგი საჩე

## ტატო სნაიპერებში სნაიპერობს

**გასული** კვირის მთავარი ამბავი მანუჩარ მარკოიშვილის მოედანზე დაბრუნება და, რა თქმა უნდა, ზაზა ფაჩულიას ამერიკული რეკორდი იყო. თითქმის ერთთვიანი უქმობის შემდეგ, რაც ძირითადად ტრავმით იყო გამოწვეული, „ოლიმპიას“ ქართველმა უკანახაზელმა ადრიატიკის ლიგის მატჩებში ითამაშა, ფაჩულია კი დღითი დღე ეგუება ნბა-ს თამაშის წესებს და მისი შედეგიანობაც შესაბამისად იზრდება.

მარკოიშვილის რე-დებიუტი უიღბლო გამოდგა „ოლიმპიასთვის“ — სლოვენიის ჩემპიონმა გასული კვირის ორივე მატჩი წააგო. ლიუბლიანელები ჯერ ხორვატიულ „ზადართან“ დამარცხდნენ, მერე კი ბოსნიის ჩემპიონთანაც თეთრი დროშაააფრიალეს.

ოლიმპიელთა საქმე კარგად მიდის თუ ცუდად, გუნდის შიგნით არსებული ვითარება არ იცვლება. ლიდერები კვლავ ლიდერობენ, ხოლო ეპიზოდური როლის შემსრულებელნი ჩვეულად მოკრძალებულნი არიან. სამწუხაროდ, თუ საბედნიეროდ, „ოლიმპიას“ ამ ორივე კატეგორიის კალათბურთელებში გვყავს წარმომადგენელი — ვლადიმერ ბოისა ლიუბლიანური კლუბის მოწინავეა, მარკოიშვილი კი უკანა ეშელონშია.

ბოისამ ორივე წაგებულ მატჩში იყოჩაღა, ხორვატებთან შეხვედრაში კი ის საუკეთესო იყო ოლიმპიელთაგან. ვოვამ 35 წუთში 21 ქულა მოინაგრა და 9 ბურთი მოხსნა, რაც საკმარისი არ აღმოჩნდა გამარჯვებისთვის. ბოსნიელებთან მატჩში კი ვოვას მარკოიშვილმაც აუბა მხარი. მართალია, თანამემამულეს დარი შედეგიანობა ვერ გამოიჩინა, მაგრამ მანუჩარისთვის ამ მატჩში მოპოვებული 6 ქულა დაახლოებით იმას ნიშნავს, ბოისამ რომ 20 მოიხვეჭოს.

ადრიატიკის ლიგაში მოთამაშე მეორე „ქართულმა“ გუნდმა „პივოვარნამაც“ ორივე მატჩი წააგო. უგრეხელიძის გუნდმა ისე ჩაიმუხლა ჯერ „ზადართან“ და მერე „შიბენკასთან“, რომ ქართველ ცენტრს ქულა არ მოუხვეჭია. ისე, რას მოასწრებდა, „უგრემ“ ორი მატჩის ჯამში 8 წუთი დაყო მოედანზე.

წააგო ვიქტორ სანიკიძის „დიჟონმაც“, რომელიც საფრანგეთის ჩემპიონატის პლეი ოფში გასასვლელად იბრძვის, მაგრამ იღბლიანია თორმეტეულში მოხვედრაც კი სათუო გაუხდა. სანიკიძემ ამ გუნდის სასტარტოში კი მოიპოვა ადგილი, მაგრამ თუ „დიჟონმა“ პლეი ოფის საგზური ვერ აიღო, ახალგაზრდა ქართველი ნაადრევად დაასრულებს ამ სეზონს. დიჟონელებმა ამჯერად „გრაველინთან“ წააგეს, სანიკიძემ კი 27 წუთში 5 ქულა და 8 მოხსნა მოაქუჩა.

ახალი წლის აქეთ გიორგი ცინცაძეს რუსული ქულებისთვის გემო არ გაეგო, ამ ტურში კი დააგემოვნა. „ურალ გრეიტი“ სანკტ პეტერბურგში „დინამოსთან“ შერცხვა, ქართველმა უკანახაზელმა კი სამ წუთში ერთი სამქულიანი ჩაუგდო მეტოქეს.

ჩვეულად მოწოდების სიმაღლეზეა ლიტვური „პასვალიოს“ ლიდერი ტატო ვაშაკიძე. ეს გუნდი ნელ-ნელა მიიწევს უმაღლესი ლიგისკენ და თუ ელიტაში აღზევდა, ქართველს ეტყვის პირველ სამადლობელ სიტყვას. „პასვალიომ“ ამ შაბათ-კვირას წაგებ-მოგება დგემა, თუმც მდევარ „კლაიპედასთან“ ორქულიან ჰანდიკაპს ინარჩუნებს.

ქართველი გამთამაშებელი განსაკუთრებით წაგებულ მატჩში გამოირჩა, 30 წუთში 25 ქულა მოქაფა. ვაშაკიძემ 9 ცდიდან 6 სამქულიანი ზუსტად ტყორცნა და სნაიპერებით განთქმულ ლიტვაში ხელჩუბინობით იწონებს თავს, რაც, სიმართლე ითქვას, სწორედაც რომ სატრაბახო ამბავია.

ოკეანგაღმა მომხდარი საამო ამბავი კი თავშივე გამცნეთ. აქ მხოლოდ დავაკონკრეტებთ, რომ ზაზა ფაჩულიამ პირადსარეკორდო 15 ქულა ნიკა ცქიტიშვილის „გოლდენ სტეიტთან“ მოინაგრა. გასულ კვირაში „გოლდენ სტეიტმა“ სამი მატჩი გამართა და „სკიტა“ მაინცდამაინც „მილუოკის“ წინააღმდეგ არ ათამაშეს, თორემ ეგებ ქართველები მოედანზეც შეხვედროდნენ ერთმანეთს.

ისე, დანარჩენ ორში რომ ითამაშა, მერე რა... არაფერი. „ცქიტი“ 4-4 წუთით გავიდა მოედანზე და ყველაზე ნიშანდობლივი, რაც მოახერხა, „ნიუ იორკთან“ მოხვეჭილი 2 დაფარებაა.

**ირაკლი პერტაია**

| სახელი გვარი | გუნდი | ტურნირი | მეტოქე | სად | ანგარიში | წთ | ქ | მ | პ | ჩ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვლადიმერ ბოისა | ოლიმპია | ადრიატიკის ლიგა | ზაგრები | შ | 75:82 | 35 | 21 | 9 | 0 | 0 |
| | | | ბოსნა | ს | 88:96 | 22 | 16 | 4 | 0 | 0 |
| მანუჩარ მარკოიშვილი | ოლიმპია | ადრიატიკის ლიგა | ზაგრები | შ | 75:82 | 7 | 1 | 0 | 0 | 0 |
| | | | ბოსნა | ს | 88:96 | 13 | 6 | 1 | 0 | 1 |
| შემონდ უილიამსი | უნიკსი | სუპერლიგა (რუსეთი) | სპარტაკი | შ | 90:84 | 37 | 23 | 4 | 10 | 1 |
| გიორგი ცინცაძე | ურალ გრეიტი | სუპერლიგა (რუსეთი) | დინამო (ს.პეტერ) | ს | 98:124 | 3 | 3 | 0 | 0 | 0 |
| ვიქტორ სანიკიძე | დიჟონი | PRO A. (საფრანგეთი) | გრაველინი | ს | 74:95 | 27 | 5 | 8 | 2 | 0 |
| გიორგი მდივანი | ეპინალი | PRO B. (საფრანგეთი) | ორლეანი | შ | 69:78 | 19 | 6 | 2 | 0 | 0 |
| დავით უგრეხელიძე | პივოვარნა | ადრიატიკის ლიგა | ზადარი | შ | 73:83 | 3 | 0 | 2 | 0 | 0 |
| | | | შიბენკა | ს | 73:74 | 5 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ტატო ვაშაკიძე | პასვალიო | მეორე ლიგა (ლიტვა) | ატლეტასი | ს | 90:95 | 30 | 25 | 2 | 3 | 0 |
| | | | პერლასი | შ | 96:92 | 27 | 14 | 5 | 3 | 1 |
| ნიკოლოზ ცქიტიშვილი | გ. სტეიტი | ნბა. რეგულარული ჩემპ. | მილუოკი | ს | 113:104 | არ უთამაშია | | | | |
| | | | იუტა | ს | 108:91 | 4 | 0 | 1 | 0 | 0 |
| | | | ნიუ იორკი | შ | 108:100 | 4 | 0 | 2 | 0 | 0 |
| ზაზა ფაჩულია | მილუოკი | ნბა. რეგულარული ჩემპ. | მემფისი | შ | 82:43 | 12 | 2 | 0 | 0 | 0 |
| | | | ინდიანა | შ | 76:90 | 21 | 6 | 8 | 0 | 0 |
| | | | გოლდენ სტეიტი | შ | 109:113 | 27 | 15 | 5 | 2 | 1 |

შენიშვნა: წთ — წუთი; ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი; ჩ — ჩაჭრა; ს — სტუმრად; შ — შინ

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ამას შევჭამთ, იმას გავაქცევთ

## მინესოტას პლეიოფოფები

— 1 აპრილი —

**მილუოკი 82:93 მემფისი**

**მილუოკი:** უილიამსი (10), რედი (17), მეისონი (24), სმიტი (7 ქულა, 12 მოხსნა), გაძურიჩი (8); კუკოჩი (8), *ფაჩულია* (12 წუთი, 4 ქულა, 2 მოხსნა), გოლდვაირი (2), სტრიკლენდი (2)

**მემფისი:** უოტსონი (8), მილერი (14), ბეტიე (18), გასოლი (20), რაიტი (5); ველსი (13), ბერკსი (6), სვიფტი (5), კარდინალი (4)

**იუტა 91:108 გოლდენ სტეიტი**

**იუტა:** მაკლეოდი (6), გირიჩეკი (17), სნაიდერი (10), ოქური (14), კოლინზი (1); ჰარპრინგი (13 ქულა, 11 მოხსნა), ჰენდლოგტენი (12 ქულა, 11 მოხსნა), ჰამფრიზი (8), ეისლი (6), ბორჩარტი (4 ქულა, 11 მოხსნა), ლივინგსტონი

**გოლდენ სტეიტი:** დევისი (12 ქულა, 8 პასი, 7 მოხსნა), რიჩარდსონი (18), დანლივი (11), მერფი (13), ფოილი; ფიშერი (19), პიეტრუსი (15), ჩაბარკაპა (14), ბიედრინსი (6), *ცქიტიშვილი* (4 წუთი, 1 მოხსნა), ვაიტი

**სიეტლი 89:87 პორტლენდი**

**სიეტლი:** ალენი (19), ვილკინსი (17)

**პორტლენდი:** აბდურ-რაჰიმი (21), ტელფაირი (18)

**დენვერი 102:84 სან ანტონიო**

**დენვერი:** ბოიკინსი (23), ენტონი (18), კემბი (15 ქულა, 10 მოხსნა, 8 დაფარება, 5 პასი)

**სან ანტონიო:** პარკერი (17), ჯინობილი (15)

**ფინიქსი 107:98 მინესოტა**

**ფინიქსი:** ნეში (28 ქულა, 11 პასი), სტუდემაიერი (22), რიჩარდსონი (18), მარიონი (14 ქულა, 16 მოხსნა)

**მინესოტა:** შჩერბიაკი (18), გარნეტი (15 ქულა, 15 მოხსნა), ჰასელი (15)

**ჰიუსტონი 73:76 ნიუ ორლეანი**

**ჰიუსტონი:** მაკგრეიდი (21)

**ნიუ ორლეანი:** ნეილონი (16)

**კლივლენდი 109:128 საკრამენტო**

**კლივლენდი:** ჯეიმსი (35 ქულა, 9 პასი, 8 მოხსნა), გუდენი (21), პავლოვიჩი (17)

**საკრამენტო:** ბიბი (22), მობლი (22), სტოიაკოვიჩი (22), ტომასი (18)

**დეტროიტი 97:84 კლივლენდი**

**დეტროიტი:** პრინსი (23), ბ. ვოლესი (16 ქულა, 13 მოხსნა)

**კლიპერსი:** იარიჩი (24), ბრენდი (22 ქულა, 11 მოხსნა)

**ნიუ იორკი 91:93 ნიუ ჯერსი**

**ნიუ იორკი:** მარბერი (26), კროუფორდი (23), როუზი (18)

**ნიუ ჯერსი:** კარტერი (31), კიდი (18)

**ატლანტა 100:116 ბოსტონი**

**ატლანტა:** ჩილდრესი (26), დელკი (18)

**ბოსტონი:** დევისი (36), პირსი (17)

**ორლანდო 102:111 ვაშინგტონი**

**ორლანდო:** ჰოვარდი (22 ქულა, 11 მოხსნა), ფრენსისი (21 ქულა, 10 მოხსნა), სტივენსონი (19), ჰილი (17)

**ვაშინგტონი:** არენასი (31), ჰიუზი (30)

**შარლოტი 107:119 ტორონტო**

**შარლოტი:** ოკაფორი (29 ქულა, 14 მოხსნა), კეროლი (17)

**ტორონტო:** ბოში (27), როუზი (23), მარშალი (18 ქულა, 12 მოხსნა)

**ფილადელფია 83:100 დალასი**

**ფილადელფია:** აივერსონი (22), ჯექსონი (22)

**დალასი:** ნოვიცკი (29), ვან ჰორნი (15)

— 2 აპრილი —

**ნიუ ჯერსი 102:103 ორლანდო**

**ნიუ ჯერსი:** კრსტიჩი (28 ქულა, 11 მოხსნა), კარტერი (21), კიდი (20 ქულა, 11 მოხსნა, 7 პასი)

**ორლანდო:** ფრენსისი (33), ჰოვარდი (15)

**პორტლენდი 97:103 დენვერი**

**პორტლენდი:** სტუდემაიერი (27), აბდურ-რაჰიმი (20)

**დენვერი:** ენტონი (23), ბოიკინსი (17)

**სან ანტონიო 95:94 ლეიკერსი**

**სან ანტონიო:** ბერი (20), პარკერი (17)

**ლეიკერსი:** ბატლერი (27), ბრაიანტი (15)

**ჩიკაგო 112:97 შარლოტი**

**ჩიკაგო:** ჰარინგტონი (22), პიატკოვსკი (19), დუჰონი (17)

**შარლოტი:** ოკაფორი (28 ქულა, 16 მოხსნა, 5 დაფარება), კეროლი (20)

**ნიუ ორლეანი 99:111 მაიამი**

**ნიუ ორლეანი:** ბრაუნი (21)

**მაიამი:** ონილი (34 ქულა, 15 მოხსნა), ვეიდი (33), დ. ჯონსი (22)

— 3 აპრილი —

**მილუოკი 106:102 ნიუ იორკი**

**მილუოკი:** უილიამსი (18), რედი (32), მეისონი (20), სმიტი (8), გაძურიჩი; ფიზერი (14), ფაჩულია (26 წუთი, 10 ქულა, 3 მოხსნა, 1 ჩაჭრა, 1 დაფარება), კუკოჩი (4), ბუთი (2), გოლდვაისი, სტრიკლენდი

**ნიუ იორკი:** მარბერი (15), კროუფორდი (11), ტ. ტომასი (23), სვიტნი (5), კ. ტომასი (13 ქულა, 12 მოხსნა); ტეილორი (18), ჯექსონი (9), არიზა (4), როუზი (2), უილიამსი (2)

**გოლდენ სტეიტი 101:92 სიეტლი**

**გოლდენ სტეიტი:** რიჩარდსონი (22), დევისი (19), დანლივი (19)

ცქიტიშვილი სათადარიგო იყო

**სიეტლი:** ალენი (27)

**ჰიუსტონი 78:91 ფინიქსი**

**ჰიუსტონი:** მინგი (19 ქულა, 12 მოხსნა)

**ფინიქსი:** მარიონი (23 ქულა, 18 მოხსნა), ჯონსონი (19)

**მემფისი 102:82 ლეიკერსი**

**მემფისი:** მილერი (22), რაიტი (16)

**ლეიკერსი:** ბატლერი (18)

**ტორონტო 103:113 დეტროიტი**

**ტორონტო:** როუზი (22), პიტერსონი (22), ბოში (18)

**დეტროიტი:** ბილაფსი (26), რ. ვოლესი (25 ქულა, 12 მოხსნა), ჰამილტონი (19 ქულა, 11 პასი, 9 მოხსნა), პრინსი (18), ბ. ვოლესი (14)

**ატლანტა 91:111 კლიპერსი**

**ატლანტა:** ჩილდრესი (23)

**კლიპერსი:** ბრენდი (33 ქულა, 12 მოხსნა), მეჯიტი (25), ვილკოქსი (22)

**საკრამენტო 100:112 მინესოტა**

**საკრამენტო:** სტოიაკოვიჩი (25), ბიბი (19), მობლი (16)

**მინესოტა:** გარნეტი (30 ქულა, 13 მოხსნა, 6 პასი), სპრიუელი (23)

**ვაშინგტონი 76:79 ინდიანა**

**ვაშინგტონი:** არენასი (22)

**ინდიანა:** ჯექსონი (15), ჯონსონი (15)

**კლივლენდი 100:80 დალასი**

**კლივლენდი:** ჯეიმსი (37 ქულა, 10 მოხსნა, 7 პასი), ილგაუსკასი (21 ქულა, 16 მოხსნა)

**დალასი:** ნოვიცკი (21), სტეკჰაუზი (16)

**ბოსტონი 93:97 ფილადელფია**

**ბოსტონი:** დევისი (27), პირსი (26 ქულა, 13 მოხსნა, 6 პასი)

**ფილადელფია:** აივერსონი (38 ქულა, 9 პასი, 6 ჩაჭრა), დალემბერტი (18 ქულა, 15 მოხსნა)



ქევინ გარნეტისთვის სეზონი ახლა იწყება

**წყალწაღებული** „მილუოკი ბაქსი" ისევ თავისნაირებთან თუ ნახავს ხეირს. ზედიზედ რვა თამაშის დამთმობმა ზაზა ფაჩულიას გუნდმა შინ „ნიუ იორკი" მიიღო და დაამარცხა, ხოლო პლეი ოფზე ასევე ხელჩაქნეულ მეტოქეს მიჯრით მეექვსე წაგება აჰ კიდა. ფაჩულიამ, რომელმაც „ბაქსის" დამწყებ ხუთეულში ადგილი ვერ დაათმობინა დან გაძურიჩს, მაგრამ სამაგიეროდ გუნდის მეექვსე მოთამაშედ იქცა, „ნიუ იორკს" 10 ქულა ჩაუგდო და ბოლო სამ შეხვედრაში მეორე დუბლი შეასრულა.

მისიანებს კი, როგორც უმრავლეს შეხვედრაში, ახლაც ნბა-ს ერთ-ერთი საუკეთესო მეჩულე მაიკლ რედი გაუძღვა, ვინც „ნიქსს" 32 ქულა შეაგება, თუმც ბოლო წამებზე ნერვებისდამწყვეტ ბურთაობაში გადამწყვეტი სიტყვის თქმა სხვამ ითავა — ფაჩულიას კბილა მო უილიამსმა ბოლო 16 წამში 4 საჯარიმო მიაშველა მასპინძლებს.

თუკი „მილუოკის" ყოველი გამარჯვება უდიდეს შრომად უჯდება, მეორე ქართველის, ნიკა ცქიტიშვილის „გოლდენ სტეიტი" მარჯვნივ და მარცხნივ მუსრავს ძლიერებსაც და სუსტებსაც. „მეომართა" სიტყვაშეუბედავმა ლიდერმა ბაირონ დევისმა ყოჩაღ „სიეტლს" 19 ქულა ჩაუგდო და კიდევ უფრო მეტი თანაგუნდელებს ჩააგდებინა. „გოლდენ სტეიტმაც" სწორედ იმ საქმეში აჯობა „სონიქსს", რაშიც ეს განთქმულა — ბურთის სწრაფ გათამაშებაში და შორეულ სროლებში. „სიეტლს" ნბა-ს ბევრ სხვა გუნდზე მეტად ემარჯვება მეტოქის სამქულიანებით დაბომბვა, თუმც ახლა ექვსი სამიანის ჩამგდებ რეი ალენს თანამებრძოლებმა მხარი ვერ აუბეს, სამაგიეროდ კი „მეომრებისგან" საკუთარ კალათში 11 შორი ბომბი მიიღეს და პირველი ტაიმის 50:41 წაგების შემდეგ მთელი მეორე ნახევარი ამაოდ დაშვრნენ.

„გოლდენ სტეიტმა" ზედიზედ მეხუთედ მოიგო, ბოლო 11 შეხვედრაში მეცხრე, ხოლო დევისის მეთაურობით გამართულ 19 მატჩში მეთორმეტე გამარჯვება ჩაიწერა. ეს გუნდი პლეი ოფში რომ მოხვედრილიყო, იქნებ შორსაც წასულიყო, მაგრამ გუნდის შეფების დასანანად, მათ საკმაოდ გვიან იწყეს ბაირონის „ნიუ ორლეანიდან" გადმოსაყვანად ზრუნვა.

სანამ „გოლდენ სტეიტი" საკუთარი სიამოვნებისთვის თამაშობს და მომავალი სეზონისთვის კარგ განწყობას იმარაგებს, მეპლეიოფე გუნდები ოფლში იწურებიან და ერთმანეთს ლამის კბილებით და მუშტებით ებრძვიან. შარშან დასავლეთის ფინალამდე მისული „მინესოტა" წლეულს იქნებ საერთოდ უპლეიოფოდ დარჩეს და ამ საფრთხეს რომ აცნობიერებს, მკლავში ძალა ემატება. კევინ გარნეტმა პირდაპირ თავი გაიგიჟა საკრამენტოში, ლამის სამმაგი დუბლი შეასრულა და „ტიმბერვულვზს" სტუმრად დაამარცხებინა ოდნავ ძლიერი „კინგზი". გარნეტის გუნდი ორი მოგებით ჩამორჩება დასავლეთში მეშვიდე-მერვე ადგილებზე მყოფ „დენვერსა" და „მემფისს" და გადამწყვეტი ბრძოლებისთვის ემზადება, რათა როგორმე ამ ორიდან ერთ-ერთი მაინც ამოაგდოს საპლეიოფო რვეულიდან. მინესოტელებმა „მემფისის" ჩამოქვეითება დაისახეს. „თამაშამდე კალენდარს ვათვალიერებდი — ამბობს გუნდის ერთ-ერთი ლიდერი ვალი შჩერბიაკი — დარჩენილი რვა მატჩიდან მხოლოდ სამში ვხვდებით ძლიერ გუნდს, მაგრამ ეს სულაც არ გვაძლევს მოდუნების უფლებას. ჩვენს მეტოქეებს ნაღდად არ სძინავთ. ისე, გვირჩევნია, „დენვერმა" მოუგოს „მემფისს", რადგან ამ მეორის გადასწრებას უფრო მოვახერხებთ. „დენვერის" გამოდევნება კი უფრო ძნელი ჩანს — ეს გუნდი ახლა ისეთ ფორმაშია, ნებისმიერის დამარცხება შეუძლია."

ამასობაში კი სანამ „მინესოტა" საკრამენტოში წვალობდა, „მეომრებისგან" თვალდადგმული მემფისელი „დათვები" კალათბურთის გაკვეთილს უტარებდნენ ბოლო ხუთი სეზონის ოთხზის [illegible] და სამგზის ჩემპიონ „ლეიკერსს". ამ დაცემულ ბობოლას ყველა გვემს, ვისაც ორ ფეხს შუა სირბილი არ ეზარება. „მემფისი" უკვე პირველი ტაიმის ბოლოს 23 ქულით დაწინაურდა და მერე ძალიან ახლოს არ მიუშვია მეტოქე, თუ არ ჩავთვლით ეპიზოდს, როცა აგერ მერამდენე შერცხვენით ბრაზმორეულმა ლეიკერსელმა ბრაიან გრანტმა ოპონენტს [illegible] გაიწია. „ლეიკერსი" თუნდაც იმიტომ იყო განწირული, რომ პირველ ტაიმში [illegible] კობი ბრაიანტი დაემტვრა და ისედაც ყველასგან ჩაგრული უმისოდ მით უმეტეს ვერას გახდებოდა.

არანაკლები თრილერი გათამაშებულა აღმოსავლეთ კონფერენციაში. პლეი ოფში თავდაჯერებულ „ბოსტონს" ლამის მარტომ მოუგო ალენ აივერსონმა, რომლის „ფილადელფიასაც" მეტად სჭირდება გამარჯვებები — „ორლანდო" და „ნიუ ჯერსი" კუდზე აზის და მერვე ადგილიდან გამოძევებას უპირებენ. აივერსონმა თავდაჯერებულ [illegible] ცეცხლი ბოსტონელებს და თავისიანებს პირველი მეოთხედი 38:13 (!) მოაგებინა. მერე ბოსტონელები მთელი თამაში ამაოდ ცდილობდნენ, დასწეოდნენ თავიანთ თვალს მიფარებულ მეტოქეს.

იმარჯვეს ახლავე რვა საუკეთესოდან ამოვარდნის საფრთხის წინაშე მყოფმა „კლივლენდმა" და [illegible] „ინდიანამ". „ინდიანამ" დედაქალაქში „ვიზარდსი" დასცა და „ჩიკაგოს" [illegible] მეოთხე ადგილის ჩამორთმევის საშუალება მისცა. ხოლო „კლივლენდმა" მეტოქესაც აჯობა და თავსაც. მესამე მეოთხედის ბოლოს მსაჯებმა უხეშობისთვის და კამათისთვის „კლივლენდის" ორი [illegible] — დრიუ გუდენი და რობერტ ტრეილორი გააძევეს, მაგრამ ამ გუნდს ხომ ლებრონ ჯეიმსი ჰყავს, ამით კი ყველაფერი თუ არა, ძალიან ბევრია ნათქვამი. ლებრონის შემწეობით „კავალიერსმა" ასოციაციის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი, „დალასი" იმსხვერპლა.

**ქოტე ყორშია**

**აღმოსავლეთი**

| | | | |
|---|---|---|---|
| მაიამი | 55 | 19 | 74,3 |
| დეტროიტი | 46 | 27 | 63,0 |
| ბოსტონი | 39 | 34 | 53,4 |
| ჩიკაგო | 41 | 31 | 56,9 |
| ვაშინგტონი | 41 | 31 | 56,9 |
| ინდიანა | 38 | 34 | 52,8 |
| კლივლენდი | 38 | 34 | 52,8 |
| ფილადელფია | 36 | 37 | 49,3 |
| ორლანდო | 35 | 38 | 47,9 |
| ნიუ ჯერსი | 35 | 39 | 47,3 |
| ტორონტო | 30 | 43 | 41,1 |
| ნიუ იორკი | 29 | 43 | 40,3 |
| მილუოკი | 28 | 45 | 38,4 |
| შარლოტი | 15 | 57 | 20,8 |
| ატლანტა | 11 | 62 | 15,1 |

**დასავლეთი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ფინიქსი | 56 | 17 | 76,7 |
| სან ანტონიო | 54 | 19 | 74,0 |
| სიეტლი | 50 | 23 | 68,5 |
| დალასი | 49 | 24 | 67,1 |
| საკრამენტო | 45 | 30 | 60,0 |
| ჰიუსტონი | 44 | 30 | 59,5 |
| დენვერი | 41 | 31 | 56,9 |
| მემფისი | 41 | 31 | 56,9 |
| მინესოტა | 39 | 35 | 52,7 |
| ლეიკერსი | 33 | 40 | 45,2 |
| კლიპერსი | 33 | 41 | 44,6 |
| გოლდენ სტეიტი | 28 | 45 | 38,4 |
| პორტლენდი | 24 | 48 | 33,3 |
| იუტა | 22 | 50 | 30,6 |
| ნიუ ორლეანი | 17 | 55 | 23,6 |

*პირველი სამი ადგილი დივიზიონის ლიდერებს უჭირავთ*



# მომავლის ქართველი

## ანა ტატიშვილი უფროსებში უფროსობას ეჩვევა

**ამას** წინათ ამერიკელთაგან „სამხრეთის ამომავალ ვარსკვლავად“ მონათლულ 16 წლის ქართველ ჩოგბურთელ გიორგი ხრიკაძეზე და მის ოკეანგაღმურ წარმატებებზე გაუწყეთ.

ამ დღეებში ახალგაზრდა ჩოგბურთელთა ტურნირების მიმომხილველ სპეციალური ვებ-გვერდით კიდევ ერთხელ დავინტერესდით, ქალთა შეჯიბრებების შედეგები გადავათვალიერეთ და საინტერესო ინფორმაციაც მოვიძიეთ.

29 მარტიდან 1 აპრილამდე ბისკეინში თვრამეტწლამდელ გოგონათა ტურნირი — LUXILON CUP — ჩატარდა, რომელშიც ანა ტატიშვილმა ფინალში გადასასვლელი შეხვედრა წააგო. იქვე ანას ბოლო წლების სტატისტიკური მონაცემებიც მოვიძიეთ და თვრამეტწლამდელთა რეიტინგიც.

მიუხედავად იმისა, რომ თხუთმეტი წლის გასულ თვეში შესრულდა, ტატიშვილმა უკვე უფროსებში გარევაც მოასწრო და თებერვალში, მაშინ, როცა ჯერ კიდევ თოთხმეტისა იყო, თვრამეტწლამდელთა ორი ტურნირი მოიგო. 14-20 თებერვალს ქართველმა ჩილეში, სანტიაგოს კორტებზე ხუთი შეხვედრა ისე ჩაატარა, მეტოქეთათვის ერთი სეტიც კი არ დაუთმია. ფინალში ანამ ბრაზილიელ ანა კლარა დუარტეს აჯობა. იქვე წყვილებშიც ითამაშა და იქაც ფინალში გაალწია, მაგრამ კანადელ შერონ ფიჩმანთან ერთად გადამწყვეტი ბრძოლა წააგო.

21-27 თებერვალს ანამ უკვე ერთეულებშიც იმარჯვა და წყვილებშიც. შეჯიბრება არგენტინულ მარდელ პლატაში გაიმართა და ჩვენებური მეექვსე ნომრად იყო განთესილი. საჩემპიონოდ კვლავ ხუთი შეხვედრა დასჭირდა. სეტი არც არგენტინაში დაუთმია, ფინალში კი სულაც პირველ ნომრად განთესილ მასპინძელ ფლორენცია მოლინეროს 6:0, 6:0 მოუგო.

29 მარტის მონაცემებით ITF-ის თვრამეტწლამდელთა რეიტინგში ანა ტატიშვილი 33-ე ადგილზეა. წინ მყოფთაგან კი მასზე უმცროსი მხოლოდ ორი გოგონაა.

ცნობისთვის — ტატიშვილი და გიორგი ხრიკაძე ოსტატობას ფლორიდის შტატის ქალაქ ბოკარატონში, წარსულში ცნობილი ქალმეჩოგნის, კრის ევერტის სპორტულ სკოლაში იმაღლებენ.

**ოთარ მაღლაკელიძე**

**NASDAQ-100 OPEN**

**მაიამი. მაგარსაფარი კაცები**

**საპრიზო 3,2 მლნ. $**

**ფინალი**

**როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — რაფაელ ნადალი (29, ესპანეთი)**

**2:6 6:7 (4:7) 7:6 (7:5) 6:3 6:1**

# ფასკუნჯის თვრამეტიანი



როჯერ ფედერერი

**თუკი** ვინმე ახერხებს, როჯერ ფედერერი კორტზე ხუთი სეტით შეაყოვნოს, ფიცხელი, შეუპოვარი და დაუვიწყარი შეხვედრა გარანტირებულია. ასე იყო წლევანდელი ავსტრალიის ნახევარფინალში, სადაც ტურნირის მომავალმა ჩემპიონმა მარატ საფინმა ამქრის პირველოსანს ფანტასტიკურ ხუთსეტიან შეხლაში აჯობა. ასევე იყო ამ კვირის საკვირაო ფინალშიც, სადაც ევევე პირველოსანი წაგებული ორი სეტის შემდეგ მესამეშიც 1:4 აგებდა, მაგრამ საბოლოოდ ჩარხის სათავისოდ შეტრიალება და ზედიზედ მე-18 (!) ფინალში გამარჯვება მაინც შეძლო. ეს მართლაც დაუვიწყარი სანახაობა გახლდათ, მატჩი, რომელშიც კორტის ერთ მხარეზე ჯანიანი, გაწონასწორებული და ძალზედ ჭკვიანი 18 წლის ცაცია, მაიამის უმრწემესი ფინალისტი რაფაელ ნადალი იდგა, ხოლო მეორეზე — ამქრის უბადლო ფასკუნჯი, უებრო შემოქმედი, ვინაც ჩოგბურთში რაღაც ზეგარდმო ჰარმონია შემოიტანა, ხოლო გუშინ ისიც ცხადყო, რომ რაგინდარა სათამაშო ბლონდების მქსოველს ბეწვის ხიდზე გავლა და უკიდურესი ხიფათიდან დაძვრენაც ჩოგანეწიფება.

არადა, თავიდან ყველაფერი მის წინააღმდეგ იყო — ამბიციური, საარაკოდ მობურთავე კუნდერმუჩანო, 13 221 მოსიერე და ფეხებზე ამოსხმული ბებერებიც. ამას საკუთარი მოწოდების უეცარი მობოშებაც ზედ დაერთო და ნადალმა თამაშს პირველი გეიმიდანვე ამოსდო ლაგამი, როცა ფედერერს მისივე მოწოდება წაჰგვარა. აჭრილი პირველოსანი პირველ სეტში ბევრს მიჰქარავდა და ჯამშიც უჩვეულოდ ბევრი, 20 უნებლიე შეცდომა დაუშვა. მეორეში ის შედარებით დამშვიდდა, მოწოდებაც გაისწორა და გეიმთა თავდაპირველი გაცვლა-გამოცვლის მერე 5:2 დაწინაურდა. ამ მომენტში ყველამ იფიქრა, რომ „ინციდენტი ამოიწურა“ და რომ ღონიერი ჭაბუკი უგამოცდილეს მეტოქეს უკვე ველარაფერს ავნებდა.

მაგრამ ეს ვარაუდი არ გამართლდა — ნადალი ისევ გააქტიურდა, ფედერერმა კი კვლავ დაკარგა მეტოქის თამაშისთვის მორგებული გასაღები და სამგეიმიანი უპირატესობა გაანიავა. ტაიბრეიკზე უფრო ზუსტად და გაბედულად საიმმომენტოდ უფრო მშვიდად მოჩოგნავე ნადალი ვაირკა და შუქფარზეც ისეთი რამე ვნახეთ, კი ხანი რომ აღარ გვინახავს — ფედერერი სეტებით უკვე 0:2 აგებდა.

პირველოსნის მდგომარეობა უფრო დამძიმდა მესამეში, როცა გალაღებულმა მალიორკელმა (ვინაც, აქვე მოგაგონებთ, ცნობილი ბარსელონელი ფეხბურთელის, მიგელ ანხელ ნადალის ძმიშვილი გახლავთ) სულ მთლად აიშვა და შემცბარ შვეიცარიელს უბასრესი დარტყმების ფინიოხი დააყარა.

ვინაც ამ შეხვედრას უყურა, დასტურ უნდა ახსოვდეს მესამე სეტის მეექვსე გეიმის ის ეპიზოდი, როცა სეტში 1:4 ჩამორჩენილი ფედერერი თავის მოწოდებაზე 0:30 აგებდა და მორიგი გათამაშებისას ბურთი პირითხაზს გადააცდინა. ეს გადაცდენა — ნადალისთვის სამწუხაროდ — მხოლოდ კომპიუტერმა დააფიქსირა, მსაჯებმა კი პირველოსანს ქულა არგუნეს და ერთბაშად სამი ბრეიკპოინტის წინაშე დგომისაგან გადაარჩინეს. არადა, ანგარიში 15:30 მაგიერ 0:40 რომ გამხდარიყო...

თუმცა შეცდომები მსაჯებს ყოველ შეხვედრაში და ორივე მოთამაშის სასარგებლოდ მოსდით ხოლმე.

...მერე კი ნადალს ნელ-ნელა გამძლეობამ უმტყუნა, ხოლო ხაფანგიდან დამსხლტარმა ფასკუნჯმა თავდაჯერება დაიბრუნა და ჯერ რომ სამგეიმიანი დეფიციტი აღმოფხვრა, მერე სეტი ტაიბრეიკამდეც მიიყვანა. იქ კიდევ ერთხელ შეძლო, გადამწყვეტ მომენტში მეტოქეზე უკეთ, უფრო რისკიანად და ჩემპიონურად გარჯილიყო და 3:5 რომ აგებდა, ბარაქიანი დარტყმებით მიჯრით ოთხი ქულა მიითვალა.

მეოთხე სეტი კი მან უკვე თავდაჯერებით გატენილმა დაიწყო, მაშინ როცა ნადალს ფიზიკურთან ერთად ფსიქოლოგიურიც ნელ-ნელა სტოვებდა. თუკი მეოთხეში ჭაბუკმა ესპანელმა კიდევ გაიბრძოლა, ბოლო სეტში მას გაბრძოლება აღარც უცდია — პირველი გათამაშებიდან სამი საათისა და 42 წუთის თავზე როჯერ ფედერერმა წლის მეხუთე, ხოლო კარიერის 27-ე ტიტული მოიღვაწა და პირად ბიუჯეტს მსუყე, 533 350 ტრანშით არგო.

„ახლა ძალიან ბედნიერი და ამაყი ვარ — ამბობდა ის მერე — იმის გამო, რომ მეოთხედფინალში ტიმ ჰენმანს, ხოლო ნახევარფინალში ანდრე აგასის ასე დამაჯერებლად მოვერიე, ხოლო ფინალში წაგებული ორი სეტის შემდეგ შევძელი მოგება, ეს ტურნირი არასოდეს დამავიწყდება. მართლაც წარმოუდგენლად ბედნიერი ვარ, ფინალში ასეთი კალიბრის მოთამაშესთან ასეთი რანგის გაქცევა რომ მოვახერხე, ორი სეტის ამოქაჩვა ეს არ არის, რაც ყოველდღე გამოდის ხოლმე. ნადალი კი მართლაც გამორჩეული ათლეტია და მას უმძლავრესი ხელწერა აქვს. ეს ფინალი მას უდიდეს გამოცდილებას შესძენს და უთუოდ დაეხმარება განვითარებაში.“

ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ წაგებული ორი სეტის შემდეგ ფედერერს სამი აქამდე მხოლოდ ორჯერ მოეგო. ისე კი, იცოცხლეთ, მისეულ სტატისტიკასთან დაკავშირებით ბევრია სათქმელი. აქ მხოლოდ შემდეგ რამეებს გავიმეორებთ — საფინთან ზემოხსენებული მარცხის წილ, რაიც მისთვის ერთადერთი საამსეზონო წაგებაა, როჯერმა უკვე 32-ე გამარჯვება მოითვალა. ეს კი სეზონის საუკეთესო დასაწყისია მას შემდეგ, რაც რომ 1984 წელი ჯონ მაკინროიმ ზედიზედ 39 მოგებით დაიწყო. ხოლო ფედერერის მონაგარს შარშანდელი აშშ-ის ღია პირველობიდან თუ დავკრებთ, გამოვა, რომ იმ ერთი მარცხის საპირწონედ მას უკვე 48 გამარჯვება დაუკვეხება.

და ბარემ აქვე ვთქვათ, რომ ეს იყო მისი ზედიზედ 22-ე მოგება. სხვაფრივ ისიცაა სათქმელი, რომ ფინალში ის 2003 წლის ივლისის მერე აღარ დამარცხებულა — მაშინ ის გშტაადის გადამწყვეტ მატჩში ირჟი ნოვაკს დამარცხდა. გარდა ამისა, მან პირველად შეძლო, რომ მიჯრით ავკლო ინდიანუელსიცა და მაიამიც — აქამდე ასეთი რამ მხოლოდ ხუთიოდ მეჩოგნეს გამოსვლოდა.

რაც შეეხება რაფაელ ნადალს, ის თუ მომავალშიც გააგრძელებს ასეთი შთამბეჭდავი ტემპებით ზრდას, ეჭვი არაა გვაქვს, რომ ძალიან მალე მასაც ბარაქიანი დადებითი სტატისტიკა მოუქუჩდება. ახლა კი იმის აღნიშვნით დავკმაყოფილდეთ, რომ საამკვირაო რეიტინგსიაში ის პირველად აღზევდა ზეოცეულამდე. მის კიდევ უფრო დაწინაურებას კი მოახლოებულ ევროსათიხნარო სეზონში უნდა ველოდოთ — იმედია, ჩემს მიერ აქ ნაჩვენები კარგი თამაში საამსეზონოდ კარგი განწყობით შემამარაგებს, ამბობდა ის ნაფინალევს და მის ამ ნატვრას ჩვენც გადაბმულ სტაქნებს ვუჭახუნებთ.

**არტემ ჩაჩანიძე**

**საქართველოს** ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ ჟაკ როგის ხელმოწერით გაისად ტურინში გასამართ ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე ჩვენი ქვეყნის წარმომადგენელთა მონაწილეობისთვის მოსაწვევი მიიღო. გუშინ რუსთაველზე, სასტუმრო „მერიოტში" სეოკ-ის პრეზიდენტმა ბადრი პატარკაციშვილმა ტურინის თამაშებში მონაწილეობის თაობაზე თანხმობა ხელმოწერით დაადასტურა.

პატარკაციშვილმა ის იყო ხელმოსაწერად კალამი მოიმარჯვა და, მოულოდნელად შეყოვნდა. იქვე საქართველოს სპორტის ზამთრის სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტ გოგი თოფაძეს გადახედა და ხუმრობით ჰკითხა, ხომ ვართ თანახმანი, რომ ტურინის თამაშებში გამოვიდეთ.

— ამაზე ხომ გუშინაც შევთანხმდით? — იყო პასუხი და პატარკაციშვილს ხელმოწერა აღარ დაუყოვნებია.

ახლა, გვინდა თუ არა, ტურინის თამაშებზე უთუოდ გამოვალთ. რომ გადავიფიქროთ კიდეც, გამოუსვლელობა ცაცილებით ძვირი დაგვიჯდება. თუმცა, ამა თუ იმ ასპარეზობაში გამოსვლისა თუ მათთვის მოსამზადებელი ხარჯების პრობლემა ჩვენს ოლიმპიელებს კარგა ხანია აღარ აწუხებთ, უფრო სწორედ, მას მერე, რაც ეს საქმე თავის თავზე აიღო ბადრი პატარკაციშვილმა და მისივე კეთილი ნებით დაფუძნებულმა საქართველოს ოლიმპიურმა ფონდმა.

აქვე ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ ჩვენი სპორტსმენების მიღწევები ოლიმპიურ თამაშებზე მათი დაფინანსების კვალდაკვალ განუხრელად იზრდება.

იმედია, 2008 წელს პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე უფრო გავიხარებთ, ვიდრე შარშან ათენში. ყოველ შემთხვევაში, სეოკ-ის დევიზი უკეთ, ვიდრე წინა თამაშებზე, აქამდე მუდამ მართლდებოდა. საპეკინოდ უკეთესი მომავლის იმედი კი იმიტომაც გვაქვს, რომ მისთვის ფაქტობრივად უკვე დაიწყო შესაბამისი პროგრამის განხორციელება. გუშინდელ თავყრილობაზე ითქვა, რომ „ასე ადრე და ასე სოლიდურად დამოუკიდებელი საქართველოს არცერთ ოლიმპიურ ციკლში მსგავსი პროგრამა არ დაწყებულა".

ყოველი საქმე ურთიერთვალდებულებებს გულისხმობს და ცხადია, ცალმხრივი არც „პეკინი-2008"-ის პროგრამაა. ეს ურთიერთვალდებულებები გუშინ ოფიციალურად ხელმოწერებითაც გაფორმდა



ქართული სპორტის საჭეთმპყრობელნი: ემზარ ზენაიშვილი, ბადრი პატარკაციშვილი, გოკა გაბაშვილი და დავით ნამგალაური

# სატურინო და საპეკინო გზა რუსთაველზე დაიწყო





ხელშეკრულების ერთ მხარეს ემზარ ზენაიშვილის ხელმოწერა დაიდო,
მეორე მხარეს — გიორგი გოგშელიძის, ელდარ კურტანიძისა და კიდევ მრავალთა...

— სპორტის სახელმწიფო სტრუქტურის, საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის, ოლიმპიური ფონდისა და სპორტის 14 ოლიმპიური სახეობის ფედერაციების ხელმძღვანელობამ ხელი მოაწერა ერთობლივ ხელშეკრულებებს, რომლებმაც განსაზღვრა თითოეულის ვალდებულებანი, რომლებიც წლევანდელი წლის ბოლომდეა დათქმული და იგი მხოლოდ ფინანსურ მხარეს არ მოიცავს.

ამას გარდა, ხელშეკრულება გაფორმდა სპორტსმენთა ნაწილთანაც.

იმ სპორტსმენთა შორის, რომელთაც კონტრაქტზე ხელი მოაწერეს, იყო ოლიმპიური ჩემპიონი გიორგი ასანიძეც. არადა, ბევრი ფიქრობდა, რომ პარლამენტში მისვლის მერე ასანიძეს შტანგისთვის აღარ ეცლებაო, ახლა კი მან თავისი ხელმოწერით დაგვაიმედა, რომ საპეკინოდაც მოემზადება.

ხელმოწერების მერე პრესკონფერენციაც გაიმართა. რადიოსადგურ ფორტუნადან ერთმა ჩვენმა კოლეგამ „არასპორტული საქციელით" გამოიჩინა თავი, როცა ბადრი პატარკაციშვილს არასპორტული კითხვები დაუსვა ბორის ბეროზოვსკის თბილისში ჩამოსვლის და „იმედის" პროგრამა „დროებაში" სატელეფონო საუბრების მოსმენებთან დაკავშირებული გადაცემის დაბლოკვის გამო.

„ეს არ არის ის ადგილი, სადაც ამ თემაზე უნდა ვისაუბროთ" — თქვა ბადრი პატარკაციშვილმა. თუმცა, პასუხისგაუცემლობაც მეტ მითქმა-მოთქმას გამოიწვევსო და ამიტომ ამ თემებზეც ამომწურავად ისაუბრა...

პრესკონფერენციის ბოლოს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი გოკა გაბაშვილი თავისთვის კითხულობდა, კი მაგრამ, მთავარი რატომ არავინ იკითხაო.

მინისტრი „მთავარში" დაფინანსების მოცულობას გულისხმობდა.

ეს კითხვა პრესკონფერენციაზე არც ჩვენ დაგვისვამს, რაკი თავი ქუდში გვქონდა, ხოლო დაფინანსების მოცულობაზე პასუხი — ჯიბეში.

ახლა ჩვენი მკითხველისთვის ჯი-

ეს დაინტერესებული და გაცნობებთ, თუ რამდენად აპირებს ოლიმპიური ფონდი-„პეკინი" მათი შეთხვევებს.

მიმდინარე ციკლში ოლიმპიური ფონდი ოლიმპიური პროგრამების დასაფინანსებლად გამოყოფს 5 მილიონ ლარს, საიდანაც ორი მესამედზე მეტი მიმართულია პროგრამის — „პეკინი 2008".

მხოლოდ წლევანდელ ფონდი 2 პროექტს დააფინანსებს და 14 ოლიმპიური სახეობის ფედერაციას დაეხმარება. ამ მიზნით გამოიყოფა 3 მილიონი ლარი, საიდანაც 2 მილიონზე მეტი მიმართულია პროექტს „პეკინი 2008".

ძალზე სოლიდური ჩანს ფონდის მიერ სოციალური პროგრამების დაფინანსება. 61 სპორტსმენს, 15 მწვრთნელს, ოლიმპიური მოძრაობის 25 ვეტერანსა და რამდენიმე სამედიცინო მუშაკს, რომლებიც საერთო რაოდენობა 120 კაცზე მეტია, დაენიშნება ყოველთვიური სტიპენდია 300-დან 1000 ლარამდე.

ოლიმპიური პროგრამის დაფინანსებაში თავის მხრივ საკმაოდ სოლიდურ წვლილს შეიტანს ოლიმპიური კომიტეტიც. ამასთან, ჩვენი რამდენიმე სპორტსმენი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისგანაც მიიღებს სტიპენდიას.

და თუ ამას დავამატებთ სახელმწიფოსგან გამოყოფილ სახსრებსა და ჩვენი ქვეყნის შესაბამისი სპორტული ფედერაციათა მიერ მოზიდულ თანხებს, ვფიქრობთ, რომ ოლიმპიელებს საპეკინოდ ხელისშემშლელი პირობები აღარ ექნებათ.

გუშინვე ბადრი პატარკაციშვილმა სპორტული ფედერაციათა ძალიერ თავის განაცხადა, რომ სია ვინ უმეტეს თანხების მიიღებს, ოლონდაც ეს შეთანხმებული უნდა იყოს ჩვენთან და სახელმწიფოსთან, რათა კორუფცია გამოირიცხოს.

ამ პრესკონფერენციაზე გაჟღერდა 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების საქართველოში ჩატარების წამოწყების იდეაც, ვეცხადებთ, მაგრამ შეხვედრის დასაწყისში ბადრი პატარკაციშვილის თავადაც მოგვახსენა, უახლოეს ხანში სერიოზული სიახლეები გვექნება ამასთან დაკავშირებით და ჩვენც ამით დავკმაყოფილდით.

ბოლოს შამპანურით სავსე ბოკალები ჩამოარიგეს და ბადრი პატარკაციშვილმა უმაღლ... პირველი სადღეგრძელო ღმერთს ჯანო ბაგრატიონის დაბადების დღეზე.

ჩვენც ვუერთდებით ამ სადღეგრძელოს...

**ავთანდილ ჭყვიშელი**
**ბადრი ქეთილაძის ფოტოები**



ძალოსანთა მთავარი დამრტყმელი ძალა: ვანო გროჭუროვი, რამაზ გურგენიძე და გიორგი ასანიძე



ბადრი პატარკაციშვილმა და ჯანო ბაგრატიონმა მუსაიფიც მოასწრეს

AFP

# ძეგლი

ბელგიურ ქალაქ ბრაკელის შესასვლელში ძეგლი სწორედაც რომ ველოსიპედს უდგას. ამ ქალაქში ბევრი ველომხედარი დაბადებულა, მათ შორის კი პეტერ ვან პეტეგემი. აქედანვე იწყება ფლანდრიის განთქმული ტურის მარშრუტი.



# ბაშო ნაგოიაში

ნაგოიაში სუმოს დიდი შეჯიბრი დაიწყო, რომელშიც 40 საუკეთესო მოჭიდავე მონაწილეობს. როცა შეჯიბრი იხსნება, საჭიდაოზე მთელი რიტუალი ტარდება, რასაც ამ ჯერზე იოკუძუნა ასასიორიუ აკეთებს. მანამდე კი ბიჭუნების გათამაშება-გაბურთავებით ხალისობენ, რაც ტაკამისაკარის გამოსდის კარგად.






## სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაб ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ხისო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, კაკა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კილაურიძე, თორნიკე ჩადუნელი, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კვიილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბეხელია, ხათუნა ბუხუტიშვილი, ელენე ბელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მისიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქანქლაძე, ზურაб წერეთელი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 39
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge